პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 117 (10203) | ხუთშაბათი, 19 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის! — „პრავდის“ 18-V მოწინავე (1-ლი გვერდი).

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ავამაღლოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე (მე-2 გვერდი).

მ. ბურჭულაძე. — [illegible] (მე-2 გვერდი).

ი. კარპოვი. — დავაყენოთ [illegible] კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორებაში (მე-3 გვერდი).

ვ. ცირეკიძე. — ტყიბულში ცუდად იყენებენ არსებულ რეზერვებს (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის!

ცნობამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობები, ხელმძღვანელობენ რა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მშვიდობის განმტკიცებისადმი ორმხრივი მისწრაფებით, შეთანხმდნენ, რომ მათი წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან უმაღლეს დონეზე, მთელ მსოფლიოში ფართო გამოხმაურება გამოიწვია.

მშვიდობისმოყვარე ხალხები, და პირველ რიგში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ხალხები, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი მომავალი მოლაპარაკების წარმატებით, მოწონებით შეხვდნენ ამ ცნობას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დასახულია ბელგრადის მომავალი შეხვედრის მონაწილეთა წინაშე.

ხაზგასმით აღნიშნა რა ამ შეხვედრის მნიშვნელობა, პრეზიდენტმა ტიტომ განაცხადა: „მოლაპარაკების მიზანია არა დროებითი გადაწყვეტილება იმისათვის, რომ როგორმე გამოსწორდეს ახლანდელი მდგომარეობა, არამედ დადგენა უფრო მტკიცე საფუძვლისა, რომელსაც საერთოდ საჭიროა მომავალში ემყარებოდეს ურთიერთობა მსოფლიოში“.

ცხოვრების გამოცდილებამ ცხადყო, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნორმალური ურთიერთობის დარღვევა, რაც მთელი რიგი წლების მანძილზე არსებობდა, სასარგებლო იყო მხოლოდ მშვიდობის საქმის მტრებისათვის. და, პირიქით, ორივე ქვეყნის ხალხთა თანამშრომლობა და მეგობრობა შეესაბამება არა მარტო ამ ხალხების ინტერესებს, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებსაც. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციასა და იუგოსლავიის მოძმე ხალხებთან ჩვენი ქვეყნის ხალხების ოდინდელი მეგობრობის განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და ყველა ქვეყანას შორის საქმიანი თანამშრომლობის დამყარებისათვის.

ბელგრადის მომავალმა მოლაპარაკებამ პირველ რიგში, რასაკვირველია, უნდა გამოიწვიოს სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესება სახელმწიფოთრივი ხაზით. ამ დარგში, უსათუოდ, არის ხელსაყრელი შესაძლებლობანი. შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ ორივე სახელმწიფოს ერთნაირი შეხედულებები აქვს საგარეო პოლიტიკის ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორიც არის თანასწორუფლებიანობა და სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობა, იმის აღიარება, რომ შესაძლებელია სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა, ბრძოლა შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვისათვის, ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტივა აშინებს მხოლოდ იმათ, ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის არა შენელებით, არამედ გამწვავებით. ამ მხრივ საგულისხმოა ბურჟუაზიული პრესის გამოხმაურება ცნობაზე ბელგრადის მომავალი მოლაპარაკების შესახებ.

ბურჟუაზიული პრესის ის ნაწილი, რომელსაც არ დაუკარგავს რეალისტურად აზროვნების უნარი, მიესალმება საბჭოთა დელეგაციის მომავალ ვიზიტს ბელგრადში, როგორც საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელების საქმეში შეტანილ წვლილს. გავლენიანი ინგლისური გაზეთი „ობსერვერი“ აღნიშნავს: „რუსეთს, როგორც ჩანს, ახლა სურს სწრაფად შეანელოს დაძაბულობა ევროპაში“. ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ „პარიზში კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას ბელგრადში შეხვედრის შესახებ. მიაჩნიათ, რომ იგი შედის დაძაბულობის ახლანდელი შენელების ჩარჩოებში“.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამერიკის ყველაზე რეაქციულმა წრეებმა მტრულად მიიღეს ცნობა ბელგრადის მომავალი შეხვედრის შესახებ.

ზოგი ვინმე, ვინც აშკარად უგულებელყოფს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ამოცანას, ცდილობს ხელი შეუშალოს მომავალი მოლაპარაკების წარმატებით განვითარებას და ამით გააუარესოს საერთაშორისო ატმოსფერო. იუგოსლავიის მისამართით მატერიალური და ფინანსური ხასიათის რეპრესიების მუქარაც კი გაისმის იმ შემთხვევისათვის, თუ იუგოსლავიის მთავრობამ ნორმალური გზადა თავისი ურთიერთობა სსრ კავშირთან. ასეთი აზრების გამოთქმა ამხილებს იმათ, ვინც თავის ურთიერთობას იუგოსლავიასთან აშენებს არა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, არამედ ეკონომიური ზეკავლენისა და დიქტატის პოლიტიკის საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ როგორც საბჭოთა კავშირი, ისე იუგოსლავია იჩენენ მისწრაფებას — საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდებოდეს მხოლოდ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და არავის მიეცეს შესაძლებლობა ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში.

ამერიკის რეაქციული წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელიც ცდილობს თავისი ადლით ზომავდეს დემოკრატიული ქვეყნების ურთიერთობას, ახლა აეეთებს აშკარად ყალბ განცხადებებს, თითქოს საბჭოთა კავშირს მხედველობაში აქვს მოახდინოს იუგოსლავიის „იზოლაცია“ ეგრეთწოდებული „დასავლეთის სამყაროსაგან“, გაწყვეტოს მისი კავშირი ამ სამყაროსთან. ასეთ მტკიცებათა უაზრობა ცხადია. საბჭოთა კავშირს არაერთგზის დაუმტკიცებია თავისი საგარეო პოლიტიკით, რომ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის საჭიროა ერთმანეთის საწინააღმდეგო კარდახშულ სამხედრო ბლოკებს კი არ ვქმნიდეთ, არამედ ვიაროთ ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობისა და საქმიანი თანამშრომლობის გზით, მიუხედავად ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური სისტემების სხვადასხვაობისა.

საბჭოთა კავშირი სათანადო გაგებით ეკიდება იმას, რომ იუგოსლავიას სურს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს ყველა სახელმწიფოსთან. იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაცია სრულიადაც არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს მისი ურთიერთობის გამწვავებას სხვა სახელმწიფოებთან. საბჭოთა კავშირი არათუ არ ისწრაფვის იუგოსლავიასთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხი გამოიყენოს საერთაშორისო ვითარების გასაუარესებლად, არამედ, პირიქით, სურს, რომ ამ საკითხის გადაჭრამ ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას გვიკარნახებს ორივე სახელმწიფოს ინტერესები, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის ერთობლივი ბრძოლის საერთო ინტერესები. რა თქმა უნდა, არ შეიძლება უარვყოთ, რომ ჩვენს შორის არის არსებითი სხვადასხვაობა საზოგადოებრივი განვითარების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გაგებაში. მაგრამ ის ფაქტი, რომ იუგოსლავიაში გაბატონებულია წარმოების ძირითად საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება; ის ფაქტი, რომ ძირითადი კლასები იუგოსლავიაში არიან მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, რომლებსაც აქვთ საბრძოლო რევოლუციური და პატრიოტული ტრადიციები; ის ფაქტი, რომ არსებობს ორივე ქვეყნის ხალხთა ღრმა კულტურული და იდეური ერთიანობა, რაც ოდითგანვე იქმნებოდა; ის ფაქტი, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მშრომელებს აქვთ საერთო ძირეული ინტერესები, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესები, მუშათა კლასის საბოლოო მიზნების ერთობა, — ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ არსებობს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებს შორის ფართო და ყოვლისმხრივი თანამშრომლობის მტკიცე საფუძველი.

ყველა საფუძველია იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა, როცა გამოირკვა ორივე ქვეყნის კეთილი ნება და მისწრაფება — გაუმჯობესდეს ჩვენი ურთიერთობა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაცია კვლავაც ისე განვითარდება, როგორც ამას მოითხოვს ორივე ქვეყნის ინტერესები და მშვიდობის ინტერესები.

„პრავდის“ 18/V მოწინავე.

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

17 მაისს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი.

დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი ამხ. **გლებოვსკი.** ეს საწარმო დიდი რაოდენობით აწოდებს ძირითად მოწყობილობას მეტალურგიულ, სამთამადნო, ნავთობის, ქვანახშირის მრეწველობას და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს. ნაკეთობათა გამოშვება 1954 წელს აქ 1940 წელთან შედარებით 5,5-ჯერ გადიდდა.

ამხ. გლებოვსკი ლაპარაკობს იმაზე, რომ საწარმოები ეკონომიურად დაინტერესებული უნდა იყვნენ ახალი ტექნიკის დანერგვით. საჭიროა გავაკეთოთ ისე, რომ ხელსაყრელი იყოს ახალი მანქანების შექმნა და არ იყოს ხელსაყრელი ძველი მანქანების გამოშვება. საჭიროა გავაფართოოთ ქარხნების ხელმძღვანელთა უფლებები, ისინი უნდა გავათავისუფლოთ სამინისტროების წვრილმანი მეურვეობისაგან. ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ გაძალიერდეს ოსტატთა როლი წარმოებაში.

შემდეგ ორატორი ეხება წარმოების კოოპერირებისა და სპეციალიზაციის საკითხს. ხშირად ერთსა და იმავე მანქანებს ამზადებენ რამდენიმე საწარმოში. სამახტო მანქანებს, მაგალითად, უშვებს რამდენიმე ქარხანა. ასეთივე მდგომარეობაა საბრძმედე ამწეებისა და სხვა მოწყობილობის მხრივ. ამავე დროს ურალის მანქანათმშენებელ ქარხანას აქვს ძალიან ფართო ნომენკლატურა — დაწყებული უნიკალური წნეხებით და გათავებული ნაჯახებით და ქაფქირებით. საჭიროა უახლოეს დროში შეექმნათ ქარხნები, რომლებიც მანქანათმშენებელ საწარმოებს უზრუნველყოფენ საერთო დანიშნულების დეტალებით. ეს საშუალებას მოგვცემს გაცილებით უკეთ გამოვიყენოთ მოწყობილობა.

სიტყვა ეძლევა მოსკოვის სალ შენადნობთა კომბინატის დირექტორს ამხ. **სოლოვიოვს.** მან ილაპარაკა დიდ ორგანიზატორულ მუშაობაზე, რომელიც წარმოებს სადღეღამისო გრაფიკის შემოსაღებად.

უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **მელნიკოვმა** დამსწრეთ უამბო რესპუბლიკაში მრეწველობის განვითარებაზე უკანასკნელი წლების განმავლობაში და ძირითადი ყურადღება მიაქცია ნაკლოვანებებს მრეწველობის ზოგიერთი დარგის მუშაობაში. ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია ის, რომ სახელმწიფო გეგმა ჯერ კიდევ ვერ გახდა კანონი თვითეული საწარმოსათვის. ყოველწლიურად საწარმოთა დიდი ნაწილი ვერ ასრულებს დაწესებულ დავალებებს. შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ხელს უშლის შრომატევად დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციის დაბალი დონე.

შემდეგ გამოდის ხარკოვის ტურბინის ქარხნის ხარატი ამხ. **კისლიაკოვი.** თათბირის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ ორატორის განცხადებას იმის შესახებ, რომ 1955 წლის განვლილი თვეების მანძილზე მან უკვე გამოიმუშავა წლიური ნორმა და ომის შემდეგ შეასრულა 23 წლიური ნორმა. ამხ. კისლიაკოვი 25 წელიწადია მუშაობს ხარატად. იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი 1952 წელს საუკეთესო ხარისხის გამჭოლი ბრიგადის შექმნისა, რომელშიც შედიოდა ახალგაზრდობა. ბრიგადა ეჯიბრებოდა კადრის მუშებს, და ეს შეჯიბრება დაეხმარა საწარმოს გაეუმჯობესებინა პროდუქციის ხარისხი და შეესრულებინა გეგმა.

ორატორი მეცნიერებს უყენებს მოთხოვნას შექმნან სპეციალური ინსტრუმენტები კარუსელური ჩარხების მუშაობის სიჩქარეთა გასადიდებლად. ორთქლტურბინის საამქროს კოლექტივის სახელით, სადაც იგი მუშაობს, ამხ. კისლიაკოვი აცხადებს, რომ ტურბინმშენებლები მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ საბჭოთა ტურბინმშენებლობა ყველაზე უკეთესი იყოს მსოფლიოში.

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა ამხ. **ბაიბაკოვმა** აღნიშნა, რომ ახლანდელ ხუთწლედში ნავთობის ამოღების საშუალო წლიური მატება ომამდელ ხუთწლედთან შედარებით რამდენჯერმე იზრდება. ამას ხელი შეუწყო ახალი მაღალპროდუქტიული საბადოების აღმოჩენამ, განსაკუთრებით ვოლგასა და ურალს შუა რაიონებში.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ნავთობის მრეწველობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია, რომელიც ხელს უშლის მის უფრო სწრაფ განვითარებას. ეს განსაკუთრებით ეხება ბურღვის სამუშაოთა ორგანიზაციას. ბურღვის სამუშაოთა მოცულობის გადიდება ხდებოდა უმთავრესად ჩარხების რაოდენობის ზრდის გზით და მხოლოდ რამდენადმე ბურღვის სიჩქარის გადიდების გზით.

შემდეგ ამხ. ბაიბაკოვი ეხება ნაკლოვანებებს გაზის საბადოების დამუშავებაში, ახალი ტექნოლოგიის დანერგვაში, ნავთობნედლეულის გადამუშავებაში.

ურალის ენერგომრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. **მარინოვმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა ურალის ენერგეტიკული სისტემის განვითარებას. სიმძლავრეთა სწრაფი ზრდისა და ახალი ტექნიკით აღჭურვის მიუხედავად, ამბობს იგი, ენერგომომარაგება ურალში კვლავ დაძაბულია. ელექტროსადგურები ნელა აღწევენ დაპროექტებულ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციას თან არ სდევს მოსამსახურე პერსონალის შემცირება. ურალელ ენერგეტიკოსთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ელექტროგადამცემი ქსელების განვითარება. ელექტროგადამცემი ხაზების ნაკლებობის გამო ჩელიაბინსკის ოლქსა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში ვერ იყენებენ ჭარბ სიმძლავრეებს. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და ელექტროსადგურთა სამინისტრო, რომლებიც გეგმავენ ქსელების განვითარებას, ეყრდნობიან ელექტროქსელების მშენებლობის მთავარ სამმართველოს შესაძლებლობებს, ხოლო ეს ორგანიზაცია მცირეძალოვანია, სამშენებლო სამუშაოთა გეგმას მთელი რიგი წლების განმავლობაში ვერ ასრულებს.

ამხ. მარინოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა ღონისძიებებს იღებენ ელექტროსადგურთა მომსახურე პერსონალის რიცხვის შესამცირებლად, რა მუშობა ხორციელდება ძირითადი პროცესების ავტომატიკისა და დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციის შემდგომი დანერგვისათვის ელექტროსადგურებში. მან პრეტენზიები წაუყენა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, რომლის შახტები დაბალი ხარისხის ქვანახშირს აძლევენ ელექტროსადგურებს.

ტრიბუნაზეა ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მღარველი ამხ. **ლუპანლინი.** აღნიშნავს რა, თუ რა გზით აღწევს იგი მალალ მაჩვენებლებს შრომაში, ამხ. ლუპანდინი ლაპარაკობს ნაკლოვანებებზე გამოცდილების ურთიერთგაზიარების ორგანიზაციაში. გამოცდილება საჭიროა გადავცეთ უშუალოდ სამუშაო ადგილზე. მოწინავე მუშა უნდა მივიდეს სხვა საწარმოში, დადგეს ჩარხთან, აიკეცოს სახელოები და უჩვენოს, როგორ უნდა მაღალნაყოფიერად მუშაობა.

ორატორი ამბობს, რომ თავის გამოსვლაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა სამართლიანად აღნიშნა, რომ, თუ ხარკოველი ტრაქტორმშენებლები შეისწავლიან სტალინგრადელთა მუშაობას, ხოლო სტალინგრადელები — ჩვენს გამოცდილებას, ეს უდიდეს ეკონომიურ სარგებლობას მოიტანს, ორივე საწარმო გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ — არც პარტიული კომიტეტი (მე იმიტომ ვამბობ ჩვენ, რომ პარტკომის წევრი ვარ), არც ქარხნის დირექტორი გულდასმით არ ვმუშაობდით ამ საკითხზე.

ამხ. ლუპანდინი აღნიშნავს, რომ მრეწველობაში დღემდე არ არის დამყარებული ჯეროვანი წესრიგი შრომის დანორმვასა და ანაზღაურებაში. მთელი რიგი მაგალითებით იგი ცხადყოფს, რომ ერთსა და იმავე სამუშაოს, რომელსაც თანაბარი კვალიფიკაციის მუშები ასრულებენ, სხვადასხვანაირად ანაზღაურებენ.

— სვერდლოვსკის ოლქის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, — ამბობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **კოზლოვი,** — პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის ღრმა შეგნების გრძნობით იბრძვიან მეხუთე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ხუთწლედის ოთხი წლის დავალება ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა, დამატებით გამოუშვა თითქმის ორი მილიარდი მანეთის პროდუქცია. ამაში დიდი როლი შეასრულა ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენებამ, შრომატევადი ოპერაციების მექანიზაციამ და რიტმული მუშაობის ორგანიზაციამ.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ცუდად ვავლინებთ წარმოების რეზერვებს, თქვა ორატორმა, ვერ შევძელით მოგვეხდინა საოლქო პარტიული ორგანიზაციის მთელი ძალების მობილიზაცია მრეწველობის ხელმძღვანელობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საბრძოლველად. პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა რეზერვებისათვის იმას ნიშნავს, რომ მან, უწინარეს ყოვლისა, გააუმჯობესოს ადამიანებთან მუშაობა. ღონისძიებებმა, რომლებიც ამ მიმართულებით ხორციელდება, უკვე მოგვცა ზოგიერთი დადებითი შედეგი, მაგრამ ეს შედეგები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

იმისათვის, რომ შემდგომ გავადიდოთ თუჯის წარმოება ურალში, საჭიროა გამოვიყენოთ კაჩკანარის რკინის მადნის საბადო. ეს ბევრი ათეული წლით წასწევს წინ ურალის მეტალურგიის განვითარებას. საჭიროა დაუყოვნებლივ დავიწყოთ გამამდიდრებელი და საგლეშერაციო ფაბრიკების მშენებლობა.

ორატორი აკრიტიკებს ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ურალში სპილენძის მადნის ახალი საბადოების ნელი დამუშავების გამო.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ქიმიური მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. **იაკიმენკო,** სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსი ამხ. **პეტროვი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი აკადემიკოსი **ტოპჩიევი.**

საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა ლენინგრადის კიროვის ქარხნის დირექტორი ამხ. **ისაევი.** მან აღნიშნა, რომ საწარმოთა საკონსტრუქტორო ბიუროების წარმატებითი საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საცდელ-საკონსტრუქტორო ბაზებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან მოეწყოს ექსპერიმენტული მუშაობა მანქანების ცალკეულ კვანძებზე.

ამხ. ისაევს წინადადება შეაქვს შეიქმნას დაგეგმვის ისეთი სისტემა, რომლის დროს საწარმოთა კოლექტივები დაინტერესებული იქნებიან ახალი მანქანების გამოშვებით. საჭიროა გაფართოვდეს ქარხნების დირექტორთა უფლებები, საშუალება მიეცეს მსხვილ საწარმოებს შექმნან საპროექტო-ტექნოლოგიური ჯგუფები, რომლებიც არსებული გამოცდილების საფუძველზე დაამუშავებენ ახალი წარმოების ორგანიზაციის საკითხებს.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **სოლოვიოვი** თავის გამოსვლაში შეეხო პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს მუშათა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი ინიციატივის მობილიზაციაში იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს მრეწველობის მუშაკებს. ამ მხრივ დიდი როლი ეკუთვნის სოციალისტურ შეჯიბრებას. პროფკავშირული ორგანიზაციები, თქვა ამხ. სოლოვიოვმა, სუსტად იყენებენ მუშათა შემოქმედებითი აქტივობის ორგანიზაციის ისეთ ფორმას, როგორიც არის საწარმოო თათბირები, რომლებსაც შეუძლიათ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ახალი ტექნიკის დანერგვასა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში.

ამხ. სოლოვიოვი აღნიშნავს, რომ საჭიროა გავადიდოთ ოსტატის როლი. ამჟამად იგი ჯერ კიდევ არ არის წარმოების სრულუფლებიანი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. ხშირად ოსტატები მუშაობენ დეტალების, ინსტრუმენტის, მასალების მიღებასა და მიტანაზე, ბევრ დროს ხარჯავენ საკანცელარიო სამუშაოზე.

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. **კრილოვი** აღნიშნავს, რომ მეტალურგიული მრეწველობის საწარმოები ქარხანას აწვდიან არადამაკმაყოფილებელი ხარისხის ლითონს. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან ქარხნები „კრასნი ოქტიაბრი“, „სერპ ი მოლოტი“, „ზაპოროჟსტალი“ და სხვ.

ორატორს მიაჩნია, რომ საჭიროა შეიცვალოს არსებული პრემიალური სისტემა პროგრამის მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის, შეიქმნას სტიმული საწარმოებისათვის, რომლებიც აქტიურად ნერგავენ ახალ ტექნიკას.

ამხ. კრილოვმა განაცხადა, რომ ქარხნის კოლექტივმა შეიმუშავა წინადადებანი საწარმოს ძირეული რეკონსტრუქციის შესახებ. განზრახულია უახლესი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით თითქმის იმავე ფართობებზე და მუშების იმავე რაოდენობით დაახლოებით ერთიორად გადიდდეს ავტომობილების გამოშვება.

სტალინის სახელობის ნოვო-კრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხნის (დონბასი) მთავარმა ინჟინერმა ამხ. **კარპოვმა** თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ახალი მოწყობილობის დანერგვის საკითხებს. მანქანის შემქმნელს — კონსტრუქტორსა და მანქანის გამკეთებელს — ტექნოლოგს შორის ძალიან ბევრი შუალედი რგოლია. სამინისტროებთან არსებული ტექნიკური საბჭოები თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენენ მათ განსახილველად წარდგენილი მანქანების კონსტრუქციაზე. მეტი სარგებლობა იქნებოდა, კონსტრუქტორები რომ ხვდებოდნენ დამკვეთლებს.

ამხ. კარპოვი აღნიშნავს, რომ ქარხნის შემდგომი განვითარების მთავარი გზები უნდა გახდეს მისი სპეციალიზაცია და ნომენკლატურის შემცირება.

სიტყვა ეძლევა ზღვისპირეთის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს მთავარ ინჟინერს ამხ. **დროზდოვს.** ზღვისპირეთის აუზის თევზის მრეწველობის მუშაობა, ამბობს იგი, შარშან მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკეს ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიქოიანმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა შორეულ აღმოსავლეთში ყოფნის დროს. წელს მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. თევზის ჭერის, კონსერვის გამომუშავების, საერთო პროდუქციის გამოშვებისა და სხვა მაჩვენებლების ოთხი თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მოწყობილია თევზის ჭერა გაშლილ ზღვაში, ნაპირებს დაშორებით, რაც უზრუნველყოფს მყარ თევზჭერას მთელი წლის განმავლობაში და საშუალებას იძლევა უფრო სრულად გამოყენებულ იქნას წყნარი ოკეანის თევზის სიმდიდრე. შემდეგ ამხ. დროზდოვი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს თევზის მრეწველობის მუშაობაში: თევზსარეწი ფლოტის დიდ გაცდენას, საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეების სუსტად გამოყენებას.

თათბირზე ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, განაგრძობს ორატორი, რომ საჭიროა საპროექტო ორგანიზაციები დაეუახლოოთ წარმოებას. ეს სავსებით სწორია. ზოგჯერ საქმე კურიოზამდე მიდის. მაგალითად, კიმორჩალის დასამუშავებელ დაზგებს ქმნიან და აკეთებენ მოსკოვში, ვლადივოსტოკიდან ათი ათასი კილომეტრის დაშორებით.

დიდი ინტერესით მოისმინეს დიმიტროვის სახელობის № 5-6 შახტის (დონბასი) უბნის უფროსის ამხ. **ბრიდკოს** გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ მისი უბანი ციკლურობის გრაფიკით მუშაობს. 8 წლის განმავლობაში კოლექტივმა გეგმის გადაჭარბებით მისცა ჩვენს ქვეყანას 146 ათასი ტონა ქვანახშირი. მუშების შრომის ნაყოფიერება თითქმის ერთიორად გადიდდა.

უბნებს ბევრ ხელმძღვანელს მიაჩნია, ამბობს ამხ. ბრიდკო, რომ საჭიროა შეეადგინოთ გრაფიკი, აღვნიშნოთ მასში ვინ შეასრულებს სამუშაოს, და საქმე გაჩარხული იქნება. ამასთან ივიწყებენ მთავარს — ადამიანებს, გრაფიკების შემსრულებლებს. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მოუწესრიგებლობა ლავებში უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ მეთაურს არა აქვს უნარი საზრიანად მოაწყოს მუშების შრომა, სისტემატურად უხელმძღვანელოს და ასწავლოს მათ. ადამიანებთან მუშაობა წარმატების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა.

ჩვენს უბანზე შესანიშნავი კოლექტივია — ერთსულოვანი, მუშობის უნარიანი. ყველა მაღაროელს აერთიანებს საერთო წარმატებისათვის ბრძოლაში ამხანაგობის, ურთიერთ დახმარების გრძნობა.

ამხ. ბრიდკო მომართავს კონსტრუქტორებს თხოვნით გააკეთონ კომბაინის უფრო მძლავრი ტრანსპორტიორი. კონსტრუქტორები და მანქანათმშენებლები უფრო ხშირად უნდა დადიოდნენ შახტებში, ესაუბრებოდნენ მანქანებზე მომუშავე ადამიანებს, სწავლობდნენ თავიანთ მანქანებს მოქმედებაში.

ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრმა ამხ. **კოსტოუსოვმა** თქვა, რომ სამინისტრომ დასახა ჩარხსამშენებლო მრეწველობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი. კერძოდ, შედგენილია მოძველებული ჩარხების შეცვლის გეგმა. უახლოეს დროში უნდა გაკეთდეს რამდენიმე ასეული ტიპის ახალი უნივერსალური და სპეციალიზებული ჩარხები.

ამხ. კოსტოუსოვმა აღნიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სერიოზული ნაკლოვანებანი ახალი ჩარხების წარმოების დაგეგმვის საქმეში.

თავისი სიტყვის მეტი ნაწილი ამხ. კოსტოუსოვმა მიუძღვნა კადრების მომზადებისა და შერჩევის, შტატების დაგეგმვის საკითხებს.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ლენინგრადის რეზინა-ტექნიკური ნაწარმის ქარხნის დირექტორი ამხ. **ფაიბიშენკო** და ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი ამხ. **გოგუნსკი.**

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მეჯერალ კ. ა. ლოგოთქიფანიძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, მწერალი კონსტანტინე ალექსანდრესძე **ლორთქიფანიძე** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 18 მაისი.

საქართველოს კომპარტიის ც

პარტიული ცხოვრება

ავამაღლოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის გრანდიოზული ამოცანები დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა. ამ ამოცანების წარმატებით შესრულების ინტერესები მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ გააძლიერონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად, სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მშრომელთა ბრძოლას პარტიის მიერ შემუშავებული პროგრამის განსახორციელებლად.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სადაც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სისტემატურ, თანმიმდევრულ ხასიათს ატარებს, იქ მიღწეული სამეურნეო წარმატებებიც მტკიცეა. ეს კარგად გაითვალისწინა ბოლნისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პირველადმა პარტორგანიზაციამ და სასურველი შედეგიც მიიღო. პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანი ამხ. **შ. ქუტიძე** „კომუნისტის“ რედაქციას ატყობინებს, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულება ბოლნისის მტს-ის მიერ მიღწეულ იქნა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შედეგად. მტს-ის პარტიული ორგანიზაციის ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რომ მექანიზატორთა საქმიანობაში შეფერხებები არ ყოფილიყო. პარტიულმა ბიურომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სატრაქტორო ბრიგადებსა და მექანიზატორებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, ამასთან უზრუნველყო კომუნისტების ავანგარდული როლი შეჯიბრებაში. შვიდი ბრიგადიდან ოთხს კომუნისტები ხელმძღვანელობენ და ეს ბრიგადები ყოველთვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ავანგარდში არიან. პარტბიურო მუშათა კომიტეტთან ერთად ყოველ ხუთ დღეში ამოწმებს შეჯიბრების შედეგებს და მოწინავეებს საზეიმოვითარებაში გადასცემს ჯილდოს. მტს-თან შექმნილია ლექტორიუმი 11 კაცის შემადგენლობით, რომელშიც შედიან მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. საგიტაციო მუშაობას ეწევა 13 აგიტატორი. დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ ლექტორები ი. მერაბიშვილი, ვ. სირბილაძე, კ. ამირიდი, აგიტატორები ვ. გოგეტაშვილი, ი. ავქოფაშვილი, კ. პაპაევი და სხვები.

პარტიის გალის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. **ვ. მიქაია** გვწერს, რომ გალის რაიონის სოფელ მზიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა, მოუწესრიგებელი იყო შრომა, დაბალ დონეზე იდგა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. რაიკომმა შეისწავლა ეს საკითხი და გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი განახორციელა. კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ გააძლიერა ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება აგიტკოლექტივისადმი, თვითეული კომუნისტისადმი, მჭიდრო კავშირი დაამყარა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან, უფრო ღრმად ჩასწვდა კოლმეურნეობის ეკონომიკას, მთავარი ყურადღება მიაქცია აგიტაციის მასობრივობას, იმას, რომ აგიტაცია ყოფილიყო კონკრეტული, მიზანდასახული, ქმედითი. აგიტატორები კოლმეურნეებს უნერგავენ შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩვევებს, მშობლიური კოლმეურნეობისა და სბჭოთა სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას. ამჟამად სოფელ მზიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში.

უკანასკნელ დრომდე პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა. მაგალითად, სოფელ მუსხის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა თითქმის ჩაშლილი იყო. როცა აღნიშნული საკითხი შევისწავლე, — გვწერს პარტიის ახალციხის რაიკომის ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში ამხ. **ა. მექვაბიშვილი,** — დავრწმუნდი, რომ საკოლმეურნეო და სოფლის რვაწლიანი სკოლის პირველადს პარტორგანიზაციებს საერთო ენა ვერ გამოენახათ. კომუნისტ პედაგოგებს დავიწყებოდათ თავიანთი ღვიძლი საქმე, თავს არ იწუხებდნენ იმისათვის, რომ ბრიგადებსა და ფერმებში მოეწყოთ საგიტაციო საუბრები. ღია პარტიულ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების საკითხს, კოლმეურნეებმა სამართლიანი საყვედური გამოთქვეს სოფლის ინტელიგენციის მიმართ, მოითხოვეს, რომ იგი უფრო ახლოს იდგეს მათთან. პარტიული კრების შემდეგ კოლმეურნეობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. სოფლის ინტელიგენცია ხშირად აწყობს საინტერესო საუბრებს და ლექციებს კოლმეურნეებისათვის.

პარტიის რაიკომის მხრივ ხელმძღვანელობა უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ გააძლიეროს თვითეული პარტორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის თვითმოქმედება, წაახალისოს ყოველი სასარგებლო ინიციატივა, სრულყოს პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები. საქმე ეხება მუშაობის არსს, იმას, რომ რაიკომი ახლოს იდგეს საკოლმეურნეო წარმოებასთან, ეხმარებოდეს პირველადს პარტორგანიზაციებს არა მოწოდებებით და განკარგულებებით, არამედ პრაქტიკულად, ადგილზე მუშაობის პირობების ღრმად შესწავლით. რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში პარტიის ცაგერის რაიკომის მდივანი ამხ. **გ. ჩარხიანი** გვატყობინებს, რომ რაიკომმა უკანასკნელ ხანს სერიოზული მუშაობა გასწია იმისათვის, რომ პარტიული ხელმძღვანელობა უფრო მიუახლოოს საკოლმეურნეო წარმოებას. ახლა რაიკომის მუშაკები უფრო ხშირად არიან ადგილებზე, კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში. ამასთან, მათი იქ ყოფნის მიზანი მარტო ცნობების შეგროვება კი არ არის, როგორც ეს წინათ იყო, არამედ, კადრების, კოლმეურნეების, მექანიზატორების, თვითეული კომუნისტის ინსტრუქტაჟია. ისინი ადგილზე სწავლობენ ნაკლოვანებათა მიზეზებს, ურჩევენ, ასწავლიან ადამიანებს ჩამორჩენის დაძლევის გზებს, უშუალოდ წარმართავენ მათს მუშაობას. აღმოფხვრილია არასწორი პრაქტიკა, როცა პირველადი პარტორგანიზაციები რაიკომიდან ელოდებოდნენ რეკომენდებულ საკითხებს და იღებდნენ ტრაფარეტულ დადგენილებებს. პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა ახლა თვით იჩენს ინიციატივას მომწიფებული საკითხების შერჩევაში. ასეთ საკითხებს საფუძვლიანად განიხილავენ პარტიულ კრებებზე, საქონლების შემთხვევაში მიმართავენ რაიკომს რჩევისათვის, სისტემატურად ხდება მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან სოფლების ცაგერის, საირმის, ქვემო ლუხვანოს, ლაკორიის, ლაილაშის, ალპანის, ლასურიაშისა და ორბელის პირველადი პარტორგანიზაციები.

პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები მტს-ის ზონაში ამხ. **ა. შონია,** (ოჩამჩირე) ამხ. **ი. კაკაშვილი,** (სიღნაღი) კომკავშირის მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ამხ. **ო. ქარჩხაძე** რედაქციას წერენ, რომ ამ რაიონებში ჯერ კიდევ ვერ შეძლეს სოფლის ყველა მშრომელის უკლებლივ ჩაბმა საკოლმეურნეო შრომაში. ოჩამჩირის რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კომუნისტთა სწორ განაწილებას საკოლმეურნეო წარმოების ცალკეული დარგების მიხედვით, რომ ისინი პირადი მაგალითით ახდენდნენ ზეგავლენას იმ ადამიანებზე, რომლებსაც დღემდე ვერ შეუგნიათ საზოგადოებრივად სასარგებლო და აუცილებელ შრომაში მონაწილეობის აუცილებლობა.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება კოლმეურნეობების, მტს-ების, სბჭოთა მეურნეობების წარმატებათა საფუძველია. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ყოველი შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიაღწიონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ, მძლავრ აღმავლობას.

ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში სტუმრად არის ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ინდოეთის პარლამენტის შტატების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კრიშნამურტი რაო. დელეგაცია განაგრძობს რესპუბლიკის ცხოვრების გაცნობას.

დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ. მეგობრული საუბრის დროს ინდოეთის პარლამენტის წევრები დაინტერესდნენ რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების საკითხებით, მისი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებით.

ინდოელი სტუმრები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენას. მაყურებელნი გულთბილად შეხვდნენ დარბაზში მათ შემოსვლას.

ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. დ. კოზაევისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ი. კუტავას თანხლებით გაეგზავნენ გორს, სადაც დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი. შემდეგ დელეგაციის წევრები იყვნენ საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. ისინი აქ გაეცნენ არქიტექტურის ძველ ძეგლებს.

ინდოელი ხალხის წარმომადგენლები იყვნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, გაეცნენ მის კაბინეტებსა და ლაბორატორიებს, ბავშვთა მხატვრულ თვითმოქმედებას. ინდოეთის პარლამენტის წევრთა ჯგუფმა დაათვალიერა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ინდოეთის დელეგაცია გაემგზავრა რუსთავს. სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტალინის სახელობის ამონკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ნახვამ. ინდოეთის პარლამენტის დეპუტატები იყვნენ ბულგანინის, მარტენის, მილდამშადებელ და მილსაგლინავ საამქროებში, ინტერესით გაეცნენ საწარმოს ტექნიკას, წარმოების პროცესებს, ესაუბრნენ მუშებს. ქარხნის დირექტორმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. გ. გომელაურმა პასუხი გასცა დელეგაციის წევრთა შეკითხვებზე, უამბო მათ, თუ რა პროდუქციას უშვებს ქარხანა, რომელსაც იყენებენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

(საქდესი).

ძირეული პრესის მუშაკთა სემინარები

ამ დღეებში საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომმა მოაწყო რაიონის ძირეული პრესის მუშაკთა ორდღიანი სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: „კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის ორგანიზაციული მუშაობის ძირითადი პრინციპები“, „კედლის გაზეთის მორიგ ნომერზე მუშაობა“, „ძირეული პრესის მუშაობის ზოგიერთი საკითხი“. სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს ა. კოკილაშვილმა, მ. წერეთელმა, კ. ელიაშვილმა, მ. კორძახიამ და ა. დოხნაძემ.

სემინარის მონაწილენი გაეცნენ რაიკომის პარტიულ ბიბლიოთეკაში გამოფენილ საწარმოდაწესებულებათა ძირეული პრესის მუშაკების ორდღიანი სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები „როგორ მოვაწყოთ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების მუშაობა“, „კედლის გაზეთის მასობრიობის შესახებ“, „როგორ გავაფორმოთ კედლის გაზეთი“ და „კედლის გაზეთი საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში“.

მოხსენებები წაიკითხეს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქციის მუშაკებმა.

* * *

გორი. (საკ. კორ.). პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო ქალაქის საწარმოდაწესებულებათა ძირეული პრესის მუშაკების ორდღიანი სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები „როგორ მოვაწყოთ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების მუშაობა“, „კედლის გაზეთის მასობრიობის შესახებ“, „როგორ გავაფორმოთ კედლის გაზეთი“ და „კედლის გაზეთი საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში“.

მოხსენებები წაიკითხეს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქციის მუშაკებმა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, განიხილეს რა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის თესვის მსვლელობა, აღნიშნავენ, რომ უკრაინის სსრ ოდესის, ყირიმის, ხერსონის, დნეპროპეტროვსკის ოლქებში, აგრეთვე კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, როსტოვის ოლქში და ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სხვა რაიონში მტს-ებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სიმინდის თესვა დაამთავრეს მოკლე, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში კვადრატულ-ბუდობრივი წესით, რის შედეგადაც ნათესებში სიმინდი თანაბრად აღმოცენდა და მცენარეები ნორმალურად ვითარდება.

ამავე დროს მთელი რიგი მხარეებისა და ოლქების მტს-ები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სიმინდს თესავენ მეტად ნელა. შეუწყნარებლად აჭიანურებენ სიმინდის თესვას სარატოვის, სტალინგრადის, კუიბიშევის, პენზისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვა ოლქების, ცენტრალურ-შავნიადაგიანი ზოლის ვორონეჟის, კურსკის, ტამბოვის, ლიპეცკის ოლქების, უაზახეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. დღემდე სიმინდის თესვა არ დაუმთავრებიათ უკრაინის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებში.

ცხელი და ჭარიანი ამინდის დადგომისა და ნიადაგის ზედა ფენის სწრაფად გამოშრობის გამო სიმინდის ნაგვიანევ თესვას ამ რაიონებში შეუძლია გამოიწვიოს სიმინდის დაგვიანებული და უთანაბროდ აღმოცენება, მცენარეთა ზრდისა და განვითარების პირობების გაუარესება და მოსავლიანობის შემცირება.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში, აგრეთვე დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მთლიანად არ იყენებს სიმინდის დასათესად იმ ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც ყველგან დათბობის შემდეგ შეიქმნა. ტემპერატურის სწრაფი მატება შესაძლებლობას იძლევა ყველა რაიონში დაიწყოს სიმინდის მასობრივი თესვა. სიმინდის თესვის დაგვიანება ამცირებს მისი ვეგეტაციის ვადებს და აუარესებს პირობებს, რომლებიც საჭიროა სრულფასოვანი ტაროს მოსავლის მიღებად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, შეუწყნარებლად თვლიან რა სიმინდის თესვის შემდგომ დაგვიანებას, ავალებენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრებს, მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობების მინისტრებს, სოფლის მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოთა უფროსებს, საბჭოთა მეურნეობების სამმართველოთა უფროსებსა და ტრესტების დირექტორებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს აღმოფხვრან თესვის სამუშაოთა ნაკლოვანებანი და უახლოეს 3-5 დღეში დაამთავრონ ყოველ კოლმეურნეობაში სიმინდის თესვა, ამასთან უზრუნველყონ თესვა მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ამ მიზნით საჭიროა სიმინდის თესვაში მთლიანად გამოიყენონ კვადრატულ-ბუდობრივი წესისათვის ყველა სპეციალური და მომარჯვებული სათესი მანქანა, მიაღწიონ მათს დიდ წარმადობას და არ დაუშვან მოცდენა; ფართოდ გამოიყენონ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა ხელით, ამავე დროს ბუდნებში შეიტანონ ადგილობრივი და მინერალური სასუქები; ამ მუშაობაში დამატებით ჩაებან შრომისუნარიანი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და მათი ოჯახების წევრები.

უზრუნველყონ შრომის სწორი ორგანიზაცია სიმინდის თესვისას და მთელი დღის განმავლობაში მუშაობა; სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მიაღწიონ იმას, რომ დღიური და ცვლის გამომუშავების ნორმები მთლიანად და გადაჭარბებით სრულდებოდეს.

საჭიროა სისტემატურად ადევნონ თვალყური მცენარის აღმოცენებასა და განვითარებას, დროზე დაამთავრონ ფარცხვა და მწკრივთა შორის დამუშავება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდის მცენარეთა გამოხშირვას ბუდეებში, ეს სამუშაო უნდა შესრულდეს უაღრესად მოკლე ვადებში და არავითარ შემთხვევაში არ დაგვიანდეს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტისა და მექანიზატორის ყურადღებას აქცევენ მათს დიდ როლზე და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე სიმინდის თესვის დამთავრებისა და მისი მოვლისათვის და ავალებენ მათ გამოიჩინონ მაქსიმალური ყურადღება და ენერგია, რათა დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს იმაში, რომ მოიყვანონ წელს სიმინდის უხვი მოსავალი მთელ ნათეს ფართობზე ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

მასწავლებლის ავტორიტეტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის გადაწყვეტილებებმა საყოველთაო საშუალო განათლებისა და პოლიტექნიკური სწავლების დარგში დიდი მოვალეობა დააკისრა საბჭოთა სკოლას. სკოლამ კულტურული და განათლებული შევსება უნდა მისცეს არა მარტო უმაღლეს სასწავლებელს, არამედ ჩვენს სოციალისტურ წარმოებას და სოფლის მეურნეობას. სწორედ ამიტომ დიდია საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

საბჭოთა სახალხო მასწავლებელი სკოლის ცენტრალური ფიგურაა. კომუნისტური აღზრდის კეთილშობილური ამოცანების პრაქტიკულად განხორციელების საქმეში დიდი და საპატიო როლი ეკისრება საბჭოთა სახალხო მასწავლებელს.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ „ყოველ სკოლაში ყველაზე მთავარია — ლექციის იდეურ-პოლიტიკური მიმართულება... ყოველგვარი კონტროლი“, „ყოველგვარი „ხელმძღვანელობა“, ყოველგვარი „პროგრამები“, წესდებანი და სხვა — ყველაფერი ეს ცარიელი სიტყვებია ლექტორთა შემადგენლობასთან შედარებით“.

მასწავლებლის კულტურას, მის მორალურ სახეს, მის პირად მაგალითს, მის ავტორიტეტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ადამიანის სწავლა-აღზრდისა და მისი საბჭოთა მოქალაქედ ჩამოყალიბების რთულ პროცესში.

„მართლაც და, — ამბობდა მ. ი. კალინინი, — სახელმწიფო, ხალხი მასწავლებელს ანდობს ბავშვებს, ე. ი. იმ ასაკის ადამიანებს, რომლებზეც ყველაზე ადვილია გავლენის მოხდენა, ანდობს მათ ახალი თაობის გამოზრდას, განვითარებას, ჩამოყალიბებას, ე. ი. თავის იმედსა და თავის მომავალს. ეს უდიდესი ნდობაა, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მასწავლებელს“.

დიდი რუსი პედაგოგის უშინსკის აზრით აღზრდაში ყველაფერი უნდა ემყარებოდეს აღმზრდელის პირად მაგალითს, რომ ვერავითარი წესდება, ვერავითარი პროგრამა, რა მოქნილიც უნდა იყოს ის, ვერ შეცვლის აღმზრდელის პირადი მაგალითის მნიშვნელობას. პიროვნების შეუძლია იმოქმედოს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ხასიათით შეიძლება გამოიკვეთოს ხასიათი.

დიდია სახალხო მასწავლებლის როლი და მნიშვნელობა მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. მასწავლებლის ავტორიტეტს, მის აღმზრდელობითს ზეგავლენას ჩვენს პედაგოგიურ პრაქტიკაში მეტად აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება. უავტორიტეტოდ ძნელია მასწავლებელმა წარმართოს კომუნისტური სწავლებისა და აღზრდის ნორმალური პროცესი. მასწავლებლის ავტორიტეტი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაყოფიერად წარმართვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. საბჭოთა სახალხო მასწავლებლის ავტორიტეტი ეს არის მოსწავლეების შეგნებულობა სკოლაში მასწავლებლის ხელმძღვანელი როლის შესახებ, მათი სწავლების, აღზრდისა და განათლების საქმეში. ავტორიტეტი საბჭოთა მასწავლებლისა, რომელიც კომუნისტური სულისკვეთებით ზრდის მომავალ თაობას, ემყარება არა მასწავლებლის ფიზიკურ და ეკონომიურ უპირატესობას, არა დასჯის შიშს, რომელიც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მოსწავლის რაიმე საქციელს, არამედ საბჭოთა სახალხო მასწავლებლის ავტორიტეტი ემყარება ღრმა და ყოველმხრივ ცოდნას, რომლითაც მასწავლებელი აიარაღებს თავის აოსაზრდელებს, ემყარება ნამდვილ მშობლიურ სიყვარულსა და მზრუნველობას ბავშვების მიმართ, სამართლიან მაღალ მომთხოვნელობას, რომელიც შეხამებული იქნება ბავშვის პიროვნების პატივისცემასთან.

მასწავლებლისათვის საკმარისი როდია მხოლოდ თავისი სპეციალური საგნის ცოდნა. სწავლებისა და აღზრდის პროცესში მასწავლებელი ახდენს გავლენას ბავშვებზე არა მარტო სასწავლო მასალის მიწოდებით, შენიშვნებით, მითითებებით, რჩევა-დარიგებით და სხვ., არამედ თავისი პირადი თვისებებით და ყოფაქცევით. მასწავლებლის გარეგნობა, თავის დაჭერა, დადებითი თუ უარყოფითი ჩვევები, მეტყველების კულტურა, მისი დამოკიდებულება კლასისადმი და ცალკეული მოსწავლისადმი, მასწავლებლის მუშაობის მთელი სტილი სკოლაში, მისი ყოფაქცევა კლასის გარეშე გარეთ — ყველაფერი ეს უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვთა სწავლასა და აღზრდაზე.

საბჭოთა სკოლის მდიდარმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მასწავლებლის ცოდნის იდეურ-პოლიტიკური დონე, მისი განათლებულობა, კულტურულობა არის ერთ-ერთი მძლავრი წინაპირობა მოსწავლეებში სიყვარულისა და ავტორიტეტის მოპოვებისათვის, მისი პირადი მაგალითის აღმზრდელობითი ზეგავლენისათვის.

მასწავლებელი ახორციელებს ბავშვთა კომუნისტურ აღზრდას. მაგრამ როგორ შეიძლება მან აღზარდოს კომუნიზმის მომავალი მშენებლები, თუ თვითონ სისტემატურად არ ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესახებ?

დიდი სტალინი გვასწავლიდა, რომ არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულოა ყველა დარგის სპეციალისტისათვის, რომ ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოებაზე, საზოგადოების განვითარების კანონებზე, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონებზე, კომუნიზმის გამარჯვებაზე. ი. ბ. სტალინის ეს მითითება ერთნაირად ვრცელდება ყველა დარგის სპეციალისტზე, მაგრამ მასწავლებლისათვის, ვინც აყალიბებს ახალი ადამიანის მორალურ სახეს, ზრდის კომუნიზმის მშენებელთა თაობას, ამ მითითებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მასწავლებლის განვითარების მაღალი მარქსისტულ-ლენინური იდეურ-პოლიტიკური დონე, ამ ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი არის არა მხოლოდ მნიშვნელოვანი პირობა იმისა, რომ მან მოიხვეჭოს სიყვარული, პატივისცემა და ავტორიტეტი მოსწავლეთა შორის, არამედ უძლიერესი წყაროა მისი პირადი მაგალითით მოსწავლეებზე დადებითი ზეგავლენისა.

მასწავლებლის ავტორიტეტი მოსწავლეთა თვალში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ღრმად და საფუძვლიანად არის დაუფლებული მასწავლებელი თავის სპეციალურ საგანს და მისი სწავლების მეთოდსა და ხერხებს. ცნობილია, რომ გაკვეთილი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ფორმაა. მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურად, გეგმაშეწონილად, თანმიმდევრულად მიწოდებით გაკვეთილზე ხორციელდება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის პროცესი, ყალიბდება კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი. გაკვეთილზე ვლინდება მასწავლებლის ცოდნის სიღრმე, მისი პედაგოგიური ოსტატობა და კულტურა.

პედაგოგიური ოსტატობის მიღწევა სავსებით დასაძლევია ყოველი მასწავლებლისათვის, ვინც ნამდვილად კომუნისტურად უდგება ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლების საქმეს, ბეჯითად, სისტემატურად მუშაობს თავისი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნებისათვის.

ავტორიტეტს მასწავლებელი თავისი საქმის ოსტატობით მოიხვეჭს. გაკვეთილის გარკვეული მიზანი, მისი განხორციელების ეფექტიანი მეთოდები და ხერხები, მასალის მოხერხებულად მიტანა ბავშვთა ცნობიერებამდე, თვალსაჩინოებისა და ცდების შეგნებული გამოყენება მნიშვნელოვანი წინაპირობაა მასწავლებლის ავტორიტეტისა და თუ მასწავლებლის პედაგოგიურ ოსტატობას ემატება აგრეთვე ლამაზი, სწორი, დახვეწილი, ლიტერატურული მეტყველება, რაც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის, უზრუნველყოფილია სწავლების მაღალი ხარისხი და მასწავლებლის საქმიანი ავტორიტეტიც.

ნამდვილი ხელოვანი მასწავლებელი არ კმაყოფილდება ერთხელ მიღებული ცოდნით, ის სისტემატურად იმაღლებს თავის პედაგოგიურ კვალიფიკაციას და გულდასმით ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის. საბჭოთა მასწავლებლობამ ეფექტიანად უნდა გამოიყენოს ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში შექმნილი მდიდარი საშუალებანი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნებისათვის.

მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა გულწრფელი სიყვარული, მათდამი თბილი, მშობლიური დამოკიდებულება, მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურების ღრმა შესწავლა, ბავშვთა მტკიცე კოლექტივის შექმნა და მასზე დაყრდნობით მოქმედება, მშობლებთან სქმიანი კავშირის დამყარება და მათთან ერთობლივი ღრმად გააზრებული პედაგოგიური ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოფს როგორც შეგნებული დისციპლინის დამყარებას, ისე მასწავლებლის ავტორიტეტის საგრძნობ ამაღლებას. მასწავლებლის გულწრფელი სიყვარული იწვევს მოსწავლეების საპასუხო სიყვარულს, და თუ მასწავლებელი უყვართ მოსწავლეებს, როგორც წესი, მისი საგანიც უყვართ, წესიერად სხედან მის გაკვეთილზე და სისტემატურად ამზადებენ მის მიერ მიცემულ საშინაო დავალებას. მასწავლებლის სიყვარული მოსწავლეებისადმი სრულიადაც არ გამორიცხავს მასწავლებლის საქმიან, მკაცრ, სამართლიან მომთხოვნელობას. მოსწავლეებს უყვართ და აფასებენ ისეთ მასწავლებელს, რომელიც მოითხოვს მათგან სერიოზულ, თანმიმდევრულ, სისტემატურ მუშაობას, კონტროლს უწევს დავალებათა შესრულებას, სამართლიანად აფასებს როგორც სწავლაში წარმატებას, ისე ყოფაქცევას.

მასწავლებლის ავტორიტეტი იზრდება, თუ ის დინჯად, მშვიდად, ყურადღებით ეპყრობა ყოველ მოსწავლეს, თუ ის არასოდეს არ შეურაცხყოფს მოსწავლის ადამიანურ ღირსებას. მასწავლებლის მშვიდი, საქმიანი, დამაჯერებელი ტონი დიდ აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს მოსწავლეებზე.

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში გადამწყვეტი როლი სკოლასა და მასწავლებელს ენიჭება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის, მისი მთელი მორალური სახის ფორმირება ხდება არა მარტო სკოლის გავლენით. ამ პროცესში გარკვეულ როლს ასრულებენ ოჯახი და აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებანი, როგორიც არის ლიტერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა სახე, სპორტი და სხვ.

თუ მასწავლებელი ჩაიკეტება მხოლოდ თავისი სპეციალობის ჩარჩოებში და არ ძალუძს ორიენტირება კულტურული ცხოვრების საერთო საკითხებში, რომლებიც მრავლად წამოიჭრებიან მოსწავლეთა წინაშე და მოითხოვენ მასწავლებლის გარკვეულ აზრსა და შეხედულებებს, თუ მასწავლებელი ვერ შეძლებს შეასრულოს ამ საქმეში ხელმძღვანელის წამყვანი როლი, ის კარგავს ავტორიტეტს მოსწავლეთა შორის და მისი პირადი მაგალითის აღმზრდელობითი ზეგავლენა ეცემა.

ათასობით საბჭოთა მასწავლებელმა მოიხვეჭა სიყვარული და დამსახურებული ავტორიტეტი როგორც მოსწავლეთა, ისე მოსახლეობის ფართო მასებში. მრავალი მათგანი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად. ათასობით მასწავლებელი ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ამ ავტორიტეტსა და ხალხის სიყვარულს თვალისჩინივით უფრთხილდება საბჭოთა მასწავლებლობა.

იყოს საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა დიდი არმიის მოწინავე რიგებში, გახდეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ხალხისადმი, სამშობლოსადმი, სამსახურისადმი თავდადების ნიმუში, მშობლიური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ხალხის უდიდესი ნდობის ღირსი — ა

ᲬᲧᲘᲑᲣᲚᲨᲘ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲡ

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა მარტო გასულ წელს ხუთჯერ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში. წელს გადაჭარბებით შეასრულა ანახშირის ამოღების 4 თვის გეგმა, აღნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა ქვანახშირის ხარისხი, თვითღირებულების შემცირებით გასწია ასობით ათასი მანეთის ეკონომია.

მოწინავე წარმატებების მიუხედავად ამ მოწინავე შახტშიც საერთო კარგი მაჩვენებლების უკან ნაკლოვანებანი და ჩრდილოვანი მხარეები იმალება. შახტში ჯერ კიდევ დიდძალი გამოუყენებელი რეზერვებია. მათი გამოვლინება და გამოყენება, ეჭვი არაა, აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, გაადიდებს ქვანახშირის ამოღებას.

ჯერ აქ ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეშა საექსპლოატაციო უბნებისა და ცვლების რიტმულ, შეწყობილ მუშაობას. ამიტომ ხშირია შემთხვევა, როდესაც უბნებისა და ცვლების ორ მესამედზე მეტი ვერ ასრულებს საწარმოო დავალებას. წელს, პირველ კვარტალში ექვსი საექსპლოატაციო უბნიდან ქვანახშირის ამოღების დავალება მხოლოდ ორმა უბანმა გაანაღდა, დანარჩენი ოთხი — ჩამორჩა, ხოლო თვრამეტი ცვლიდან თერთმეტმა ვერ შეძლო გეგმის შესრულება. მათ პირველ კვარტალში რესპუბლიკის საწარმოებს ათასობით ტონა ქვანახშირი დააკლეს.

საექსპლოატაციო უბნების ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების უგულგებილყოფაა. ხშირად შახტის ხელმძღვანელობას საექსპლოატაციო უბნების კოლექტივები გადაჰყავთ ქვანახშირის ისეთ ველებში, სადაც მომზადებული არ არის სამუშაო ფრონტი, რაც იწვევს უბნის ნორმალური მუშაობის შეფერხებას. მეორე საექსპლოატაციო უბანი მიმდინარე წლის დასაწყისიდან მუშაობდა ქვანახშირის ისეთ ველში, სადაც არ იყო გაყვანილი სავენტილაციო შტრეკი, არ იყო დამონტაჟებული მომხვეტი ტრანსპორტიორები, რამაც ხელი შეუშალა მეშახტეების ნაყოფიერ შრომას, სანგრევიდან ქვანახშირის შეუფერხებლად გამოზიდვას. ამის გამო უბანმა, როგორც იანვარში, ისე თებერვალში გეგმა ვერ შეასრულა. პირველ აპრილს მესამე საექსპლოატაციო უბანი გადაყვანილ იქნა ისეთ ველში, რომელსაც არ გააჩნდა არცერთი საექსპლოატაციო ლავი. შახტის ხელმძღვანელებმა უბნის უფროსს გ. სახელაშვილს დაავალეს დაკვრითი წესით შეესრულებია სამთო-მოსამზადებელი სამუშაოები და აპრილის მეორე ნახევარში უზრუნველეყო ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალების განაღდება, მაგრამ დავალება დავალებად დარჩა. გ. სახელაშვილმა ლავის მომზადება მოკლე დროში ვერ შეძლო, 78 მეტრის საერთო სიგრძის დახრილი სავენტილაციო გამონამუშევრის გაყვანას თითქმის ერთ თვეს მოუნდა, თუმცა მის შესასრულებლად საკმარისი იყო 12-15 დღე.

ზოგჯერ ნაკლები ყურადღება ექცევა სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების შესრულების ხარისხს. არის შემთხვევები, როცა წყალგაუჟღენავ ზღუდარს წესისამებრ არ აკეთებენ, რაც იწვევს მის გაფუჭებას, გამონამუშევრების ამოსილვას წყლითა და შლამით. მაგალითად, 19 აპრილს პირველ საექსპლოატაციო უბანში (უფროსი ა. კობახიძე) მწყობრიდან გამოვიდა უხარისხოდ დამზადებული ზღუდარი, რამაც ორი დღის განმავლობაში ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება უბანში ასი ტონით შეამცირა. აპრილში ასეთივე ზღუდარის მწყობრიდან გამოსვლის გამო იმ უბანმა, რომელსაც ლ. ვაშაკიძე ხელმძღვანელობს, შახტს ასობით ტონა ქვანახშირი დააკლო.

შახტისა და უბნების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ წამყვანი კვალიფიკაციის მუშების მიზანშეწონილად გამოყენებას, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას. პირველი საექსპლოატაციო უბნის გამყვანმა ს. გოგელაშვილმა 22 აპრილს 70 წუთი მოანდომა სამაგრი მასალის შეზიდვასა და სანგრევის მოფიქალებას. ამან ს. გოგელაშვილის შრომის ნაყოფიერება არა ნაკლებ 20 პროცენტით შეამცირა. ეს ფაქტი გამონაკლისი არ არის.

მეშახტეები ხშირად გამოთქვამენ საყვედურს შახტის სალამპე მეურნეობის ცუდი მუშაობის გამო. უნარისხოდ ხდება ელექტრონათურების დამუხტვა, ამიტომ შახტში შეტანისას ზოგჯერ ქრება და მეშახტეები უსინათლოდ რჩებიან, ან იძულებული არიან შახტიდან გამოვიდნენ ნათურის შესაცვლელად. ყოველივე ეს იწვევს სამუშაო დროის ფლანგვას.

შახტში ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული მცირე დაქანების ლავებში ქვანახშირის ჩამოშვების მექანიზაცია. ეს სამუშაო დღემდე ხელით წარმოებს, რაზედაც დიდი დრო და ენერგია იხარჯება. ერთი წლის წინათ ნოვატორმა მეშახტემ ვ. სისიუკოვმა შეიტანა წინადადება მცირე დაქანების ლავებში მსუბუქი ტიპის ქვანახშირის მომხვეტი მექანიზმების გამართვის შესახებ. ეს წინადადება მოწონებულ იქნა, მაგრამ მის დასანერგავად არავინ იზრუნა. შახტის ხელმძღვანელობამ ქვანახშირის მონგრევის კომპლექსური მექანიზაცია უნდა განახორციელოს.

აღსანიშნავია, რომ სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა. პირველ კვარტალში უმიზეზოდ გაცდენილია 577 კაცდღე. ეს გაცდენები რომ არ ყოფილიყო, შახტს დამატებით რამდენიმე ასეული ტონა ქვანახშირის ამოღება შეეძლო. ადგილი აქვს აგრეთვე მუშახელის დენადობას.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, არსებული რეზერვების გამოვლინება და სრულად გამოყენება კიდევ უფრო აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას და შეამცირებს ტონა ქვანახშირის თვითღირებულებას.

ვ. ᲪᲘᲠᲔᲥᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲝᲞᲔᲠᲔᲢᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კლუბში ხშირად მართავენ სპექტაკლებს თბილისის გრიბოედოვის, მუსიკალური კომედიის და მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრები, იმართება კონცერტები საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა ძალებით და სხვ. თვეში 18 დღე დათმობილი აქვს მხატვრული კინოსურათების ჩვენებას.

საინტერესო მუშაობას ეწეოიან კლუბთან არსებული მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები — ქართული და რუსული დრამატული და ქორეოგრაფიული წრეები, ქალთა რუსული გუნდი და ინდივიდუალურ შემსრულებელთა საკონცერტო ბრიგადა.

წელს ქართულმა დრამატულმა წრემ განახორციელა ვ. კობელის თანამედროვე პიესა „ნათურები“, უახლოეს ხანში კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს უჩვენებს ნ. ანანიაშვილის პიესას „მეგობრობა და სიყვარული“. რუსულმა დრამატულმა წრემ დადგა ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“ და ახლა ამზადებს ბ. ლავრენევის პიესას „ამერიკის ხმა“.

კომბინატის კლუბთან ახლახან ჩამოყალიბდა ქართული თეატრალური მუსიკალური კოლექტივი. მან თავის პირველ დადგმად 17 მაისს მაყურებელს უჩვენა უ. პაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალან“, რომელშიც მონაწილეობდნენ კომბინატის მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები — ი. კობახიძე (ასკარი), მ. კაციაშვილი (გულჩორა), ა. შანშიაშვილი (სულთანბეგი), ვ. მარტიაშვილი (ვალი), რ. სუხოვა (თელი), ხ. კარკუსოვი (სულეიმანი), ბ. შალუტაშვილი (ასია), ვ. ბერუაშვილი (ჯიხანი). მათ დამაკმაყოფილებლად განასახიერეს თავიანთი როლები და კოლექტივის წევრთა მოწონება დაიმსახურეს.

სპექტაკლის შესაქმნელად დიდი მუშაობა გაუწევიათ სპექტაკლის დამდგმელს ვ. კობელს, მხატვარ კ. ლომთათიძეს, ქორეოგრაფ გ. ჩივაძეს და კონცერტმეისტერ ი. კონდრატიევს.

გ. ᲫᲔᲚᲐᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ოპერეტა „არშინ მალ-ალანის“ ფინალური სცენა კომბინატის კლუბში დადგმული სპექტაკლიდან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ამირანაშვილი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე უმღერია საბჭოთა კავშირის ყველა ოპერის თეატრში, ამჟამადაც ხშირად იმყოფება საგასტროლოდ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში.

მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ამას წინათ პ. ამირანაშვილმა საკონცერტო შესრულებით წარმოდგენილ ოპერა „ჯამბაზებში“ წარმატებით შეასრულა ტონიოს პარტია. კიდევ უფრო დიდი წარმატება ხვდა მის დამოუკიდებელ კონცერტს, რომელიც გაიმართა მოსკოვის დიდი თეატრის ბეთჰოვენის სახელობის დარბაზში.

მოსკოვის შემდეგ პ. ამირანაშვილმა მონაწილეობა მიიღო ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრების სპექტაკლებში — „რიგოლეტოსა“ და „აიდაში“. მომღერლის წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ თეატრის ხელმძღვანელობამ მიიწვია იგი მთელი მომავალი სეზონისათვის.

პ. ამირანაშვილი წარმატებით გამოვიდა აგრეთვე გორკისა და სარატოვის ოპერისა და ბალეტის თეატრების სპექტაკლებში.

ამ დღეებში პ. ამირანაშვილი დაბრუნდა თბილისში. უკანასკნელად იგი იმყოფებოდა უკრაინელ მეშახტეებთან, სადაც ქალაქ სტალინოს ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმატებით გამოვიდა ოპერებში „დემონი“, „ოტელო“, „ტრავიატა“, „რიგოლეტო“ და გამართა რამდენიმე კონცერტი.

სტალინოს გაზეთი „რაღიანსკა დონბასჩინა“ წერს:

„პ. ამირანაშვილი, რომელსაც აქვს ლამაზი, ფართო დიაპაზონისა და საუცხოო ეფერადობის ბარიტონი, თავისებური, ტემპერამენტიანი და ღრმა განცდების მსახიობია. იგი ქმნის ისეთ მკაფიო საოპერო სახეებს, რომლებიც დიდხანს რჩებიან მაყურებლის მეხსიერებაში...“

მაისის დამლევს პ. ამირანაშვილი საგასტროლოდ გაემგზავრება მოსკოვსა და ლენინგრადში, ხოლო შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში — ხაბაროვსკსა და ვლადივოსტოკში.

ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი შეფობას უწევს აფხაზეთის რაიონებსა და ქალაქებს, მათ შორის ოჩამჩირესა და გუდაუთს. თეატრმა კოლმეურნეობებში დადგა გ. გაბუნიას პიესა „მზის ამოსვლის წინ“, შ. ფაჩალიას „გუნდა“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, სობკოს „კაპიტანი კორშუნი“ და სხვ.

საკოლმეურნეო მინდვრებს თეატრი მომსახურებას გაუწევს სპეციალურად გამოყოფილ აგიტმხატვრული ბრიგადებით, რომლებშიც შედიან მსახიობები ს. კალანდაძე, ა. მაგრაქველიძე, ს. ყანჩელი, ზ. ლაფერაძე, გ. ფოჩხუა, ს. გამრეკელი, ნ. ყიფიანი, ვ. ნინიძე და სხვები.

თეატრი მოემსახურება აგრეთვე გაგრის, გულრიფშის, გალისა და სოხუმის რაიონებს. ადგილებზე მსახიობები დახმარებას უწევენ კლუბებთან არსებულ თვითმოქმედ მხატვრულ წრეებს.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი თბილისის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის შესახებ. საქართველოს პროფსაბჭომ შეამოწმა 85 ასეთი საწარმოს მუშაობა და გამოავლინა არსებითი ნაკლოვანებანი.

საქუნაცვლოებრივი ზოგიერთ მოდების ატელიეში, საქართველოს სარეწაო საბჭოს ბევრ სამკერვალო და შემკეთებელ სახელოსნოში დაკვეთებს არ იღებენ დაწესებულ დღეებში, უხეშად არღვევენ რიგითობის წესსა და დაკვეთების შესრულების ვადებს. მაგალითად, საქუნაცვლოებრივ № 2 მოდების ატელიეში იყო დაკვეთები, რომლებსაც შესრულების ვადა გასული ჰქონდათ ოთხიდან 20 თვემდე. ანალოგიური შემთხვევებია საქუნაცვლოებრივ № 1 მოდების ატელიეში, არტელ „მკერავთა კომუნაში“ და მთელ რიგ სხვა სამკერვალო და სარემონტო სახელოსნოებში. დაკვეთებს ხშირად არაკეთილსინდისიერად ასრულებენ. ქალაქის საპარიკმახეროებში არღვევენ დაწესებულ ტარიფს. დამაკმაყოფილებელი არ არის მთელი რიგი აბანოების, სამრეცხაოების სანიტარული მდგომარეობა.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა ქსელი თბილისში არ არის საკმარისი. არ არის მაცივრების, ველოსიპედების, ნავშვის სათამაშოების სარემონტო სახელოსნოები და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა, კომუნალური მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები სუსტად ახორციელებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი ხელმძღვანელობასა და კონტროლს, არ უწევენ კოლექტივებს ქმედითს დახმარებას მუშაობაში, ფართოდ არ გაუჩაღებიათ მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიღებულ გადაწყვეტილებაში დასახა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სარეწაო საბჭოსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე დაისვა საკითხი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, ამ საწარმოთა ქსელის გაფართოების შესახებ.

მოდების ატელიეებში, სამკერვალო და სხვა სახელოსნოებში უნდა დაწესდეს დაკვეთების მიღების, გაფორმებისა და შესრულების მტკიცე წესი, შემოღებულ იქნას არსებულ მასალათა ნიმუშების ალბომები მასალის ღირებულების აღნიშვნით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. საჭიროა მოეწყოს სწავლება მუშების, ოსტატების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა დაწესებული საპრეისკურანტო ფასების დარღვევის წინააღმდეგ მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში. სასტიკ პასუხისგებაში უნდა მისცენ ისინი, ვისაც დანაშაული მიუძღვის ამ დარღვევაში. (საქდესი).

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲜᲐᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲐ

დიღმის მტს-ის მექანიზატორებმა გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის დავალება. დათესილია 1.645 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.638 ჰექტარისა.

წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სიმინდის, როგორც ძვირფასი სამარცვლე და სასილოსე კულტურის, აგროვადებში თესვას. მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა დათესეს 382 ჰექტარი სიმინდი, 32 ჰექტარით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. შარშანდელთან შედარებით სიმინდის ფართობი გაიზარდა 230 ჰექტარით.

კოლმეურნეობებში ათი დღის განმავლობაში მექანიზატორებმა სამი საათესი მანქანით კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს 191 ჰექტარი სიმინდი. ამ წარმატებებს მტს-ის კოლექტივმა მიაღწია მოწინავე მეთოდის — მუშაობის საათობრივი გრაფიკის გამოყენებით. ამ საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდა მეორე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც კომკავშირული ნ. ზანდარაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ დათესა 116 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 110 ჰექტარი.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელა მეორე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა ი. ჩიტაძემ. მან საათობრივი გრაფიკის მტკიცედ დაცვით რვა დღეში კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 80 ჰექტარი სიმინდი. სიმინდის თესვის დავალებანი გაანაღდეს მესამე და მეოთხე სატრაქტორო ბრიგადებმა.

ᲕᲔᲜᲔᲠᲐ ᲒᲝᲪᲝᲗᲨᲘᲐ,
გარეუბნის რაიონის დიღმის მტს-ის დირექტორი.

ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო რიონის რკინიგზის საგზურზე მომხდარი უმსგავსო ფაქტი. სოხუმ-თბილისის მატარებელზე გაიყიდა ნორმაზე მეტი ბილეთები, ამიტომ მგზავრები ვაგონებში ვერ შეკიდნენ.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს ამხ. ქადაგიძეს.

როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან გვატყობინებენ, სადგურ რიონს რკინიგზის მოლარე ქ. თოდაძე, რომელმაც დაარღვია სამგზავრო ბილეთების გაყიდვის წესი, მოხსნილია სამსახურიდან. ამავე სადგურის ვაგზლის უფროსს ნაცვლაშვილს მიეცა გაფრთხილება.

ᲓᲐᲕᲐᲛᲧᲐᲠᲝᲗ ᲛᲫᲙᲘᲪᲔ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐᲨᲘ

კოლმეურნეობათა მზარდი საზოგადოებრივი მეურნეობა გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს სასოფლო-სამეურნეო არტელების თავმჯდომარეებსა და გამგეობებს. კოლმეურნეობაში საფინანსო მეურნეობის სწორად გაძღოლა არტელის გამგეობის პასუხსაგები ამოცანაა. ამ საქმეში, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციას. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა საკოლმეურნეო სახსრები განნეულია სხვა ორგანიზაციებში და კერძო პირების ხელში; ეს ძირს უთხრის კოლმეურნეობის სამეურნეო განმტკიცებას. დიდ დებიტორულ დავალიანებას ჩვეულებრივ წარმოშობს კოლმეურნეობათა გამგეობების უყაირათობა, დამამზადებელი, სავაჭრო, მომმარაგებელი და სხვა ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მიყიდული ან ჩაბარებული პროდუქციისათვის კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორებისადმი, რის შედეგადაც იტვირთება არტელების ბალანსები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების ზრდაზე.

ორგანიზაციებისა და სხვადასხვა პირების მიერ კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორების დაყოვნებას ჩვეულებრივად შედეგად მოსდევს ის, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მილიონობით მანეთი საკოლმეურნეო სახსრები არ ხმარდება საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებას, კოლმეურნეობას საშუალება არ ეძლევა შეავსოს თავისი განუყოფელი, ფონდები, შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო მანქანები, გაამაღლოს მეცხოველეობისათვის შენობების აგება და მოახდინოს სხვა კაპიტალდაბანდებანი. მაშასადამე, სერიოზულად ფერხდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება.

პარტიას და მთავრობას ბევრჯერ მიუთითებია, რომ შეუწყნარებელია კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორების დაყოვნება. 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს მოსთხოვეს სათანადო წესრიგი დაემყარებინათ კოლმეურნეობებთან სხვადასხვა ორგანიზაციების ანგარიშსწორებაში, სამი თვის განმავლობაში მოეხდინათ ლიკვიდაცია სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთელი დავალიანებისა კოლმეურნეობების წინაშე და მომავალში დაეყარებინათ კოლმეურნეობების პროდუქციისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშის დროულად და კეთილსინდისიერად გასწორების წესი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე კოლმეურნეობათა დებიტორული დავალიანება დიდ თანხას შეადგენს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო აფხაზეთის ავტონომიურ სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისადმი დავალიანება მიმდინარე წლის 1 მარტისათვის მილიონობით მანეთს შეადგენდა. ლაგოდეხის რაიონში სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირების . დავალიანება კოლმეურნეობებისადმი შეადგენდა დაახლოებით 5 მილიონ მანეთს. მათ შორის დამამზადებელ ორგანიზაციებზე ჩაბარებული თამბაქოსათვის 2 მილიონ მანეთზე მეტს. ჯავის რაიონში ორგანიზაციებისა და პირების დავალიანება კოლმეურნეობებისადმი 1 მარტისათვის შეადგენდა 717 ათას მანეთს. აქედან მარტო ჯავის რაიონულ სამომხმარებლო კავშირს (ცამგეობის თავმჯდომარე ამხ. სანაკოევი) რაიონის კოლმეურნეობების მართებდა 28 ათასი მანეთი სახელმწიფო შესყიდვის წესით ჩაბარებული პირუტყვისათვის. მესტიის რაიონში სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირების დავალიანება კოლმეურნეობებისადმი შეადგენდა 136,9 ათას მანეთს, აქედან დავალიანება საქვეანგარიშო თანხების სახით 104 ათას მანეთს უდრიდა.

არის მრავალი ფაქტი, როცა სხვადასხვა ორგანიზაცია დიდხანს არ ფარავს თავის დავალიანებას კოლმეურნეობებისადმი. მაგალითად, გალის რაიონის მზიურის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას გუდაეის ეთერ-ზეთის ქარხანა 1954 წლის ოქტომბრიდან არ უხდის 5.000 მანეთს წაგებული სასუქისათვის. გუდაეის სახერხ ქარხანას 1954 წლიდან ამავე კოლმეურნეობისა მართებს 2.252 მანეთი. გალის ხე-ტყის საკავრო საწყობი 1954 წლიდან არ უხდის ვალს სოფელ მზიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას — 5.052 მანეთის, ხოლო ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობას — 10.628 მანეთის რაოდენობით. გალის რაიონული სამომხმარებლო კავშირი (ცამგეობის თავმჯდომარე ამხ. სიჭინავა) წელიწადზე მეტია არ უნაღდებს მაღაზიათა სათავსის საიჯარო ქირას ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობას 1.085 მანეთის, ხოლო კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას 1.440 მანეთის რაოდენობით. სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა მართებს 2.797 მანეთი. სოფელ ბუშათის კიროვის სახელობის კოლმეურნეობისათვის „სოიუზტრანსის“ თელავის კანტორას 1954 წლიდან არ გადაუხდია 690 მანეთი შეუსრულებელი სატრანსპორტო სამუშაოებისათვის. თელავის სატყეო მეურნეობა (დირექტორი ამხ. კაპანაძე) სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეს“ 1954 წლის სექტემბრიდან არ უბრუნებს 1.650 მანეთს, ნაშთს არადასაქონლებელი ავანსისას, რომელიც მას კოლმეურნეობამ გადაურიცხა შეშის შესაძენად.

ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა, ნაცვლად იმისა, რომ მიიღოს ღონისძიებები დავალიანების გადასახდევინებლად, ხშირად მიმართავს დავალიანების დაუსაბუთებლად ჩამოწერას კოლმეურნეობის ხარჯზე. მაგალითად, აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკის ქედის, ქობულეთის, ხელოს რაიონებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურისა და სტალინირის რაიონებს, ლაგოდეხისა და ამბროლაურის რაიონების კოლმეურნეობებმა უკანონოდ არის ჩამოწერილი ზარალში ეგრეთწოდებული უიმედო ვალები დაახლოებით 180 ათასი მანეთის რაოდენობით. საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ხშირად არათუ დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების დავალიანების გადახდევინებაში, არამედ, პირიქით, ზოგჯერ შეუთანხმებლად აღასტურებენ ამ დაუსაბუთებელ ჩამოწერას.

აღგილობრივი საბჭოთა ორგანოები და მტსების დირექტორები ხშირად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და ბუღჰალტრებს სათანადოდ არ სთხოვენ პასუხისმგებლობას დებიტორული დავალიანების გადიდებისათვის, რის შედეგადაც კოლმეურნეობათა გამგეობები ხშირად ავანსად რიცხავენ დიდძალ თანხებს სავაჭრო, დამამზადებელი და სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების ანგარიშზე მისაღები საქონლის ანგარიშში, ანაღდებენ უსაქონლო ანგარიშებს და ამით ახალ დავალიანებას წარმოშობენ. მაგალითად, გალის რაიონის სოფელ მზიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ 1954 წელს ტყეარჩენის შახტმშენს გადაურიცხა მნიშვნელოვანი თანხა საშენი მასალების შესაძენად, მაგრამ უკანასკნელ დრომდე 2.290 მანეთის საშენი მასალა კოლმეურნეობას არ მიეღია. გალის რაიონის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ ჯერ კიდევ გასულ წელს სხვადასხვა ორგანიზაციას გადაურიცხა ავანსად 30 ათას მანეთზე მეტი ხე-ტყის, კირისა და სხვა საშენი მასალების შესაძენად. დღემდე მოვალეებად რჩებიან და კოლმეურნეობისადმი თავიანთ დავალიანებას არ ფარავენ გალის რაიონული სამრეწველო კომბინატი — 3.119 მანეთს, რაიონულ გაზეთის რედაქცია — 536 მანეთს.

სოფელ წინანდლის სტალინოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ 1954 წლის 25 ივნისს კაჭრეთის ხე-ტყის სავაჭრო საწყობის თელავის განყოფილების ანგარიშზე გადარიცხა 27.717 მანეთი ხე-ტყის მასალების შესაძენად. მხოლოდ 8 თვის შემდეგ, მომდინარე წლის თებერვალში, გამოეგზავნა კოლმეურნეობას 17.627 მანეთის საშენი მასალები და აღნიშნული ხე-ტყის სავაჭრო საწყობი დღემდე არ უბრუნებს კოლმეურნეობას ავანსის ნაშთს 10.090 მანეთის რაოდენობით. თელავის რაიონის სამომხმარებლო კავშირს (ამგეობის თავმჯდომარე ამხ. ზატიკაშვილი) 1954 წლის იანვრიდან არ დაუბრუნებია კოლმეურნეობა „მოწინავესათვის“ 2.365 მანეთი.

არის ბევრი შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ ერიდებიან იმას, რომ თავიანთი ფინანსური მდგომარეობა გამოასწორონ სოფუყვეგო საქიროებებისათვის კოლმეურნეობათა სახსრების გამოყენებით. ამ მიზნით, დებენ რა სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებებს სხვადასხვა მატერიალური ღირებულების მიწოდების, სატრანსპორტო ან სხვა სამუშაოების შესრულების შეპირებით, კოლმეურნეობებიდან მოურიდებლად მიაქვთ ავანსად მნიშვნელოვანი თანხები და ამის შემდეგ არა მარტო ყოვნებენ საქონლის მიწოდებას, არამედ წაღებულ თანხებსაც არ უბრუნებენ კოლმეურნეობებს.

კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორების მოუწესრიგებლობა მეტწილად იმით აიხსნება, რომ იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბევრი ხელმძღვანელი, რომლებსაც კოლმეურნეობებს ვალი აქვთ, ჯერ კიდევ არ გრძნობს პასუხისმგებლობას კოლმეურნეობებთან დროული ანგარიშსწორებისათვის. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობებისადმი დავალიანების ლიკვიდაციას და დღემდე ამ საქმეს უყურებენ როგორც ნაკლებშნიშვნელოვან ღონისძიებას. მხოლოდ ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ სხვადასხვა დაწესებულების წინა წლების დავალიანება აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის კოლმეურნეობებისადმი, არასრული ცნობებით, დაახლოებით 400 ათას მანეთს უდრის. ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა, სოფლის მეურნეობის ბევრმა რაიონულმა სამმართველომ და მტს-ების დირექტორებმა ხშირად არ იციან, კონკრეტულად ვინ არის კოლმეურნეობათა მოვალე, და არ ეწევიან საჭირო ორგანიზაციულ მუშაობას დავალიანების გადასახდევინებლად.

მთელ რიგ შემთხვევებში პროკურატურის ორგანოები საკმარ მეთვალყურეობას არ უწევენ იმას, რომ სრულდებოდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება დებიტორული დავალიანების გადახდევინებას, არ იღებენ სათანადო ზომებს იმისათვის, რომ კოლმეურნეობებს აუნაზღაურონ

მნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობის დაცვის საქმეში

პეკინი, 17 მაისი. (საკდესი). მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირის შედეგებს კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს ჩინური პრესა.

დღეს გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ ვარშავის თათბირმა უფრო განამტკიცა ევროპის მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა, ცხადყო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ურღვევი ერთიანობა, მზარდი ძალა. მტკიცე ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულია თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით, მნიშვნელოვანი წვლილია ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის აღმოფხვრის საკითხებზე. საბჭოთა წინადადების განხორციელება, წერს „ჟენმინჟიბაო“, იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობა დაიცვათ ახალი ომის საშინელებათაგან და ხალხები გავათავისუფლოთ სამხედრო ხარჯების მძიმე ტვირთისაგან. ეს წინადადება კვლავ ადასტურებს საბჭოთა კავშირის დაუცხრომელ ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით.

ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები, წერს დასასრულ გაზეთი, ყოველი ღონისძიებით დაუჭერენ მხარს ვარშავის თათბირის გადაწყვეტილებებს. აღნიშნავს რა თათბირის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მშვიდობის საქმისათვის, მეორე გაზეთი — „გუნჟენჟიბაო“ — წერს, რომ ვარშავაში განხილული საკითხები განუყოფელია აზიაში მშვიდობის შენარჩუნებისაგან.

ჩინეთის მუშათა კლასი, აღნიშნავს გაზეთი, მთელ ჩინელ ხალხთან ერთად ბეჯითად ადევნებს თვალყურს ევროპის ამბების განვითარებას და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყოველი ღონისძიებით დაუჭიროს მხარი საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ბრძოლას ევროპის კოლექტიური უშიშროებისათვის.

19 მაისს გაიხსნება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სესია

ვარშავა, 17 მაისი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ სახელმწიფო საბჭოში შეიტანა წინადადება 1955 წლის 14 მაისს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის დადებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

სახელმწიფო საბჭომ დაადგინა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი განსახილველად დასვას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმში. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა მოიწვიოს 1955 წლის 19 მაისს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სესია.

წინადადება ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ შეტანილია სეიმის საგარეო საქმეთა კომისიის განსახილველად.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის სხდომა

პრაღა, 18 მაისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, 1955 წლის 17 მაისს გაიმართა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სხდომა. სხდომამ განიხილა ანგარიში დელეგაციისა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. საანგარიშო მოხსენება გააკეთა დელეგაციის მეთაურმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ვ. შიროკიმ.

მთავრობამ დაადასტურა, რომ რატიფიკაცია პარიზის შეთანხმებებისა, რომლებიც აღადგენენ მილიტარიზმს დასავლეთ გერმანიაში, იწვევს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის გამწვავებას, აძლიერებს ახალი ომის საფრთხეს და ემუქრება ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის მეზობლების უშიშროებას.

ამიტომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა დიდი კმაყოფილებით მიესალმა იმას, რომ ხელი მოაწერეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

გაერთიანებული ერების წესდების მიზნისა და პრინციპების შესაბამისად მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ხელს უწყობს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას და მოწმობს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ერთხმად მოიწონა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება და მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად გადასცეს იგი ეროვნული კრების განსახილველად. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ აგრეთვე ერთხმად დაამტკიცა ვარშავის თათბირის დადგენილება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული საბრძოლო ბრძანების შექმნის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ბერლინი, 17 მაისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული პრესა აქვეყნებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყების ცნობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც გაიმართა 1955 წლის 16 მაისს.

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა სხდომაზე გააკეთა მოხსენება ვარშავის თათბირის მსვლელობისა და შედეგების შესახებ. მან დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა ვარშავაში დადებულ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შინაარსს, აღნიშნა რა, რომ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის საქმისათვის, მშვიდობისმოყვარე ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და ამ ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

მინისტრთა საბჭომ ერთსულოვნად მოიწონა მოლაპარაკება და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის განცხადებანი ვარშავის თათბირზე, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობა 1955 წლის 14 მაისის ხელშეკრულებაში მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატას და სთხოვოს მისი რატიფიკაცია.

მაქს რაიმანის დაპაზიმრების ცდა

ბერლინი, 18 მაისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, 15 მაისს დასავლეთ გერმანიის პოლიციის რაზმი შეიჭრა გერმანიის კომუნისტური პარტიის დახურულ კრებაზე დუისბურგ-მაიდერიხში. პოლიციელებს ნაბრძანები ჰქონდათ დაეპატიმრებინათ გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის პირველი მდივანი მაქს რაიმანი. მაგრამ მათ ვერ მოახერხეს ამ გეგმის შესრულება.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „ფრაიეს ფოლკი“ ამის გამო წერს: „მაშინ როცა გერმანელი ხალხი მოითხოვს, რომ გადაიდგას ნაბიჯები გაერთიანებისათვის, ადენაუერის მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა პირში ბურთი ჩასჩაროს ჩვენი ხალხის ამ ნების საუკეთესო გამომხატველთ“.

ჰოლანდიის მთავრობა გადადგა

ჰაგა, 18 მაისი. (საკდესი). ჰოლანდიის მთავრობა გადადგა იმის გამო, რომ გუშინ ჰოლანდიის პარლამენტის მეორე (ქვედა) პალატამ 50 ხმით 48 ხმის წინააღმდეგ უარყო მთავრობის კანონპროექტი ბინის ქირის გადიდების შესახებ.

თბილისში ჩამოვიდნენ სირიისა და ლიბანის მშვიდობის მომხრეთა დელეგაციები

17 მაისს თბილისში ჩამოვიდნენ სირიისა და ლიბანის მშვიდობის მომხრეთა დელეგაციები, რომლებიც სსრ კავშირში იმყოფებიან მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისა და უცხოთეთან ეროვნული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით.

სირიის დელეგაციას მეთაურობს სირიის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის მდივანი ადვოკატი მუსტაფა ამინი, ლიბანის დელეგაციას — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრი არქიტექტორი ანტუან ტაბეტი.

აეროდრომზე დელეგაციებს შეხვდნენ მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ყიფიანი, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის წევრი პროფესორი ვ. გულისაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გ. წერეთელი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი პროფესორი ნ. ჯავახიშვილი და სხვები. (საკდესი).

თემატური საღამო და ლექციები

20 მაისს საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება მ. გორკის სახელობის კულტურის სახლში (პლეხანოვის პრსპ. № 65) აწყობს თემატურ საღამოს „მსოფლიოს ახალგაზრდობა მშვიდობისათვის ბრძოლაში“. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის დოცენტი ი. ტაბაღუა. ლექციას თემაზე „მსოფლიოს ახალგაზრდობა მშვიდობისათვის ბრძოლაში“ წაიკითხავს საზოგადოების წევრი შ. ნემსაძე. სიტყვებით გამოვლენ ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალებისა და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებათა მონაწილეები. დასასრულ ნაჩვენები იქნება კინოფილმი.

* * *

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს შემდეგ ლექციებს:

20 მაისს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში (ათარბეგოვის ქ. № 32) საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ფ. ლომინაძე წაიკითხავს ლექციას თემაზე: „სოციალისტური სახელმწიფოს მართლმსაჯულება“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში დოცენტი ი. ბაჯაძე წაიკითხავს საჯარო ლექციას „მძიმე ინდუსტრია სსრ კავშირის ძლიერების საფუძველია“.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სხდომათა დარბაზში დოცენტი ი. ურუშაძე წაიკითხავს ლექციას „ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების გზები“.

19 მაისს საღამოს 8 საათზე კ. ვოროშილოვის სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლში (რუსთაველის პრსპ. № 2) შედგება საზოგადოების წევრის ა. ჭკადუას ლექცია თემაზე: „დიდი დანიელი მწერალი ჰანს ქრისტიან ანდერსენი“ (დაბადების 150 წლისთავის გამო).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ზ. მ. დოლაბერიძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ — მებაღეობის, მევენახეობის, სუბტროპიკული კულტურებისა და მეჩაიეობის მთავარ ინსპექტორად;

ი. ა. კახიანი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეღორეობის, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის საერთო საკითხების მთავარ ინსპექტორად, გაათავისუფლა რა იგი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან კადრების დარგში;

ვ. დ. კობახიძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ — მეცხვარეობის მთავარ ინსპექტორად.

ნეკროლოგი

ლევან ასათიანი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი, კლასიკური და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიჭიერი მკვლევარი და კრიტიკოსი ლევან ასათიანი.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იგი დაუღალავად ემსახურებოდა მშობლიური ლიტერატურის, მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის განვითარების საქმეს. ლ. ასათიანი ჭეშმარიტი პატრიოტული აღფრთოვანებით სწავლობდა და აშუქებდა ქართული კულტურის ისტორიის პრობლემებს, საბჭოთა ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან კულტურული ურთიერთობის საკითხებს.

1928 წელს ლევან ასათიანი მუშაობას იწყებს ჟურნალ „ქართული წერილის“ რედაქციაში, როგორც მისი კოლეგიის წევრი და უახლოესი ლიტერატურული თანამშრომელი. 1932 წლიდან მუშაობს ჟურნალ „მნათობში“ სარედაქციო კოლეგიის წევრისა და რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე.

1940 წელს გამოვიდა ლევან ასათიანის საუკეთესო ნაშრომი „ცხოვრება აკაკი წერეთელისა“, რომელიც ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

მრავალ საყურადღებო ნაშრომში გააშუქა ლ. ასათიანმა დიდი ქართველი კლასიკოსების — დავით გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, ქართველ ხალხისან მწერალთა და სხვათა ცხოვრება და შემოქმედება. ამასთანავე მუდამ ცხოველად ეხმაურებოდა საბჭოთა ლიტერატურის ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში მან ღრმად პრინციპული, ობიექტური შეფასება მისცა ქართული საბჭოთა პოეზიის, პროზის, დრამატურგიის არაერთ ნაწარმოებს.

ჩვენი სამშობლოს ხალხთა კულტურული ურთიერთობის საკითხებისადმი მიძღვნილია ნაშრომები: „პუშკინი და ქართული კულტურა“, „ილია ჭავჭავაძე რუსული ლიტერატურის შესახებ“, „მიიაკოვსკი და საქართველო“ და სხვ. მისი წერილები ტარას შევჩენკოზე, ივანე ფრანკოზე, ლესია უკრაინკაზე, მიკოლა ბაჟანზე, მისი შრომა „უკრაინა — საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან“ და სხვ. მნიშვნელოვანი წვლილია ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლევან ასათიანის წიგნებს „მუშათა რევოლუციური პოეზია ლეგალურ და არალეგალურ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში“, აგრეთვე მის უკანასკნელ წიგნს „ი. ბ. სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები“.

ლევან ასათიანი იყო განსაზღვრავდა საბჭოთა ტიპის ლიტერატორის და საზოგადო მოღვაწისა. პრინციპული, ენერგიული და დაუღალავი მუშაობაში, იგი ამავე დროს უაღრესად თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანი იყო.

ლ. ასათიანის მნიშვნელოვანი ღვაწლი და ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 20 და 21 მაისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მთიან რაიონებში ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ჰაერი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 12-17, დღისით 20-25 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 8-13, დღისით 18-23 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა ელჭექით, უმეტესად მთიან რაიონებში. ჰაერი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 11-16, დღისით 24-29 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 6-11, დღისით 18-23 გრადუსი.

რედაქტორი ნ. ჯაფი.

მნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობის დაცვის საქმეში

პეკინი, 17 მაისი. (საკდესი). მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირის გადაწყვეტილებებს ფართო კომენტარს უძღვნიან ბერლინის დემოკრატიული გაზეთები.

„ვარშავის ხელშეკრულება დიდი წვლილია მშვიდობის საქმეში“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა მოწინავე სტატია გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“. სტატიაში ნაჩვენებია ვარშავის ხელშეკრულების პრინციპული განსხვავება დასავლეთის სახელმწიფოთა პარიზის სამხედრო შეთანხმებათაგან და ხაზგასმულია მისი განსაკუთრებული მშვიდობიანი და დემოკრატიული ხასიათი, ამ ხელშეკრულების მონაწილეთა მისწრაფება — მიაღწიონ იმას, რომ საბჭოთა წინადადებების საფუძველზე შეიქმნას სრულიად ევროპას კოლექტიური უშიშროების სისტემა და მოხდეს საყოველთაო განიარაღება. სტატიაში აღნიშნულია აგრეთვე ხელშეკრულების უდიდესი მნიშვნელობა გერმანელი ხალხის ბრძოლაში იმისათვის, რომ დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე აღადგინოს თავისი ერთიანობა და ეროვნული დამოუკიდებლობა.

ვარშავის თათბირის შედეგებმა, წერს გაზეთი, მთელ მსოფლიოში განამტკიცა ძალები, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, განამტკიცა მათი რწმენა გამარჯვებისადმი. მეგობრობის, მშვიდობის მტკიცედ უზრუნველყოფის პოლიტიკას დღითიდღე სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს განწირულია ჩასაშლელად ძალის პოლიტიკა, რომლითაც ბონის მთავრობა ხელმძღვანელობს.

თავისუფალი გერმანული პროფკავშირების გაერთიანების ორგანო გაზეთი „ტრიბუნი“ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს ვარშავის ხელშეკრულებისა და გაერთიანებული სარდლობის შექმნის შესახებ, ვარშავის თათბირის მონაწილეთა გადაწყვეტილების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას.

ვარშავის თათბირის შედეგებს ეძღვნება აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ოტო ნუშკეს სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ნოიე ციიტში“.

არა გვგონია შეიძლებოდეს, წერს ავტორი, გადაპარბენით შეეფასოთ ისტორიული მნიშვნელობა ვარშავის ხელშეკრულებისა, რომელიც მშვიდობის ბანაკის რვა სახელმწიფომ დადო. ამ ხელშეკრულებას ისტორიაში ბადალი არ მოეპოვება. იგი გამსჭვალულია საერთაშორისო თანამშრომლობის სრულიად ახალი სულისკვეთებით, და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ დამყარებულია ურთიერთგაგების პოლიტიკის დიდმნიშვნელოვან პრინციპებზე, რომლებიც ახასიათებენ განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის წინადადებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში განიარაღების შესახებ. ვარშავის ხელშეკრულება მშვიდობის ხელშეკრულებაა.

„ვარშავის ხელშეკრულება მშვიდობის ხელშეკრულებაა“

ბერლინის დემოკრატიული პრესა მხურვალედ იწონებს ვარშავის თათბირის შედეგებს

ბერლინი, 17 მაისი. (საკდესი). ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირის გადაწყვეტილებებს ფართო კომენტარს უძღვნიან ბერლინის დემოკრატიული გაზეთები.

„ვარშავის ხელშეკრულება დიდი წვლილია მშვიდობის საქმეში“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა მოწინავე სტატია გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“. სტატიაში ნაჩვენებია ვარშავის ხელშეკრულების პრინციპული განსხვავება დასავლეთის სახელმწიფოთა პარიზის სამხედრო შეთანხმებათაგან და ხაზგასმულია მისი განსაკუთრებული მშვიდობიანი და დემოკრატიული ხასიათი, ამ ხელშეკრულების მონაწილეთა მისწრაფება — მიაღწიონ იმას, რომ საბჭოთა წინადადებების საფუძველზე შეიქმნას სრულიად ევროპას კოლექტიური უშიშროების სისტემა და მოხდეს საყოველთაო განიარაღება. სტატიაში აღნიშნულია აგრეთვე ხელშეკრულების უდიდესი მნიშვნელობა გერმანელი ხალხის ბრძოლაში იმისათვის, რომ დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე თავისი ერთიანობა და ეროვნული დამოუკიდებლობა.

ვარშავის თათბირის შედეგებმა, წერს გაზეთი, მთელ მსოფლიოში განამტკიცა ძალები, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, განამტკიცა მათი რწმენა გამარჯვებისადმი. მეგობრობის, მშვიდობის მტკიცედ უზრუნველყოფის პოლიტიკას დღითიდღე სულ

პოლონეთის საზოგადოებრიობა მხურვალედ უჭერს მხარს ვარშავის თათბირის გადაწყვეტილებებს

ვარშავა, 17 მაისი. (საკდესი). პოლონეთის საზოგადოებრიობის ყველა ფენა მხურვალედ უჭერს მხარს და იწონებს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, ევროპის ქვეყნების ვარშავის თათბირის გადაწყვეტილებებს. მთელ პოლონეთში ეწყობა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები და კრებები.

კრაკოვისა და ნოვა გუტას 40 ათასამდე მცხოვრები მიტინგზე შეიკრიბა და გამოთქვა სოლიდარობა ისტორიულ გადაწყვეტილებებთან. ლიუბლინის სატვირთო ავტომობილების ქარხნის მუშებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ვარშავის ხელშეკრულება ადასტურებს მშვიდობის ბანაკის ყველა სახელმწიფოს მისწრაფებას — შექმნან სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა, მისწრაფებას, რომელსაც თან ახლავს საბჭოთა კავშირის კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია ახალი ომის თავიდან აცილება. ასეთივე მიტინგები და კრებები გაიმართა გდანსკის, პოზნანის, ვარშავის საწარმოებში, სილეზიის შახტებში და პოლონეთის ბევრ სხვა ქალაქსა და სოფელში.

ავსტრიის მინისტრთა საბჭოში

ვენა, 17 მაისი. (საკდესი). ავსტრიის პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა ავსტრიის მინისტრთა საბჭოს დღევანდელი სხდომის შესახებ. ცნობაში ნათქვამია, რომ დღევანდელ სხდომაზე, რომელიც კანცლერ რააბის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, მინისტრთა საბჭომ განიხილა სახელმწიფო ხელშეკრულების ტექსტი. ფედერალური კანცლერის წინადადებით მინისტრთა საბჭომ მოიწონა ხელშეკრულება და მიიღო გადაწყვეტილება გადაეცეს იგი პარლამენტს მოსაწონებლად და სარატიფიკაციოდ.

საგერძნეთის პრესა ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ

ათენი, 18 მაისი. (საკდესი). ათენის გაზეთები წერენ ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ.

გაზეთი „ავგი“, რომელსაც მოჰყავს ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის შინაარსი, გამოჰყოფს დებულებას, რომ ავსტრიასთან დადებული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და რომ პატიოსნური ნეიტრალიტეტი საერთაშორისო უშიშროებისა და ევროპის მშვიდობის გამმტკიცებაში შეტანილი წვლილია.

დამთავრდა მშვიდობის საერთაშორისო ველოგადარბენა

ვარშავა, 17 მაისი. (საკდესი). დღეს ვარშავაში დამთავრდა მშვიდობის ტრადიციული საერთაშორისო ველოგადარბენა მარშრუტით პრაღა—ბერლინი—ვარშავა, რომელიც მოაწყეს გაზეთების „რუდე პრავოს“, „ნოიეს დოიჩლანდისა“ და „ტრიბუნა ლიუდუს“ რედაქციებმა.

პოლონეთის ჯარის ცენტრალურ სტადიონზე. სადაც ფინიშზე მივიდნენ 17 ქვეყნის ველოსიპედისტები, შეიკრიბა პოლონეთის დედაქალაქის 50 ათასზე მეტი მშრომელი. სტადიონზე იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზაგდასკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს წევრები, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი პენ დე-ხუაი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების ვარშავის თათბირში როგორც მეთვალყურეობა სტადიონზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, მთელი რიგი ქვეყნების საელჩოთა მეთაურები და თანამშრომლები, აკრედიტებულნი ვარშავაში.

ორი კვირის განმავლობაში სპორტსმენებმა გაიარეს თითქმის 2.200 კილომეტრი. უკანასკნელ. მეცამეტე ეტაპზე — ლოძ-ვარშავის ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა ბელგიელმა სპორტსმენმა ვერხელსტმა. გუნდურ ჩათვლაში ეტაპზე პირველი ადგილი დაიკავეს ბელგიელმა სპორტსმენებმა.

ინდივიდუალურ ჩათვლაში ყველა ეტაპზე პირველობა ჰოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა შურმა. პირველ გუნდურ ადგილზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის გუნდი, მეორეზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები, მესამეზე — ბულგარეთის სპორტსმენები, მეოთხეზე — საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგე — პროფესორი — 1.
ზოგადი მეტყევეობის კათედრის გამგე — პროფესორი — 1.
მეტეოროლოგიის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1.
გეოდეზიის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1.
ტყის კულტურების კათედრის გამგე —პროფესორი ან დოცენტი — 1.
ბოტანიკის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1.
ლითონთა ტექნოლოგიის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1.
გამოყენებითი მექანიკის და მანქანათა ნაწილების კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1.
ფიტოპათოლოგიის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1.
სას.-სამ. ენტომოლოგიის კათედრის გამგე — პროფესორი — 1.
მეხოსტნეობის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1.
ფიზიკური მომზადების კათედრის გამგე — დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი — 1.
უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტი — 2, ასისტენტი—4.
ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის პროფესორი — 0,5 განაკვ. დოცენტი — 2, ასისტენტი — 3.
მემცენარეობის კათედრის დოცენტი — 5,5 განაკვ., ასისტენტი — 1.
სელექცია-მეთესლეობის კათედრის დოცენტი — 5.
ნიადაგმცოდნეობის კათედრის პროფესორი — 2 (ერთი — ნიადაგმცოდნეობაში, ერთი — გეოლოგიაში), დოცენტი (ნიადაგმცოდნეობაში) — 3, ასისტენტი (ნიადაგმცოდნეობაში) — 2.
აგროქიმიის კათედრის პროფესორი — 1, დოცენტი — 1, ასისტენტი — 3.
ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი — 0,5 განაკვ.
პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი — 5, ასისტენტი — 2.
სას.-სამ. მიკრობიოლოგიის კათედრის დოცენტი — 1, ასისტენტი — 1.
ენების კათედრის უფროსი მასწავლებელი (რუსული ენა) — 5, მასწავლებელი (რუსული ენა) — 2.
სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის კათედრის ასისტენტი — 2.
ლითონთა ტექნოლოგიის კათედრის ასისტენტი — 1.
გამოყენებითი მექანიკის და მანქანათა ნაწილების კათედრის დოცენტი (სალინერო კონსტრუქციებში) — 0,5 განაკვ.
ფიზიკის კათედრის ასისტენტი — 1.
მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაციის კათედრის დოცენტი — 1.
ტრაქტორების და ავტომობილების კათედრის დოცენტი (თეორია და გაანგარიშება) — 1.
სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი (სოფ. მეურნ. პროდუქტების ტექნოლოგია) — 1, დოცენტი (ხილეულეულის ტექნოლოგია) — 0,5 განაკვ. დოცენტი (ჩაის ტექნოლოგია) — 0,5 განაკვ., ასისტენტი (სოფლის მეურნ. პროდ. ტექნოლოგია) — 2,5 განაკვ.
ფიტოპათოლოგიის კათედრის დოცენტი — 1.

მსურველებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი სამუშაოები ორ-ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული ასლი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების სამუშაოების შემოწმებული ასლები, დასახელებული მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომთა სია და ორი ფოტოსურათი (6×9).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 33, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი